

აგვისტო

1931 წ.

№ 68

საქართველო

La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

A O U T

1931—№ 68

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ დ ო პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—ჯანყის სული.
ილია ნუცუბიძე—ქარიბდასა და სცილას შუა.
ვლ. ახმეტელი—ჩვენი უპირველესი ამოცანა.
მდმმე—ჩვენი მთავრობა და ემიგრაცია.
კაქი—მოსკოვი წინეთ და ესლა.
საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა.

№—ზ. ავალიშვილი. «ვეფ. ტყაოსანის საკითხები»
მოსკოვი და პარიზი.
რას სწერენ ბოლშევიკებზე.
საქართველოს ამბები.
საბჭოთა რუსეთში (ეჟურ.-გაზეთებიდან).
ოსმალეთ-რუსეთის მეგობრობა და ევრ. მშე—ბა.

ჯ ა ნ ყ ი ს ს უ ლ ი

ძლიერია ჩვენში ჯანყის სული, ამიტომ ყოველ წელს, როცა ქართველ ერის აჯანყების ტრალიკული დღეები ახლოვდება, ჩვენ განვიცდით მწარე ტკივილებს და სიტკბოებას, ერთსა და იმავე დროს. ტკივილებს იმიტომ, რომ ერი დამარცხდა, დაისაჯა, გაწილდა; სიტკბოებას იმიტომ, რომ ერმა ჩასწერა თავისი სახელი თანამედროვე ისტორიაში.

ვამბობთ «თანამედროვე», რადგან წარსულში ქართველ ერს არ აკლდა ჯანყი და შეთქმულებანი, ბრძოლა და ომები, გამარჯვება და დამარცხებანი. ეს იყო, თუ გნებავთ, გასულ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და მიმდინარე საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა გარეგნულათ, ზეზეურათ ბევრს ეჩვენებოდა თითქო ქართველი ერი გაპქრა, როგორც ასეთი, მოთავდა მისი ისტორია, გაიღესა უპიროვნო კოსმოსში, გაუჩნდა ასეთივე უპიროვნო იდეალები, დაიქსაქსა, გაიპნა, დაპკარგა თავისი სახეობა...

და ვისაც ჩვენი ნორჩი პარტიების ურთიერთი ბრძოლა ახსოვს, მათი შეუთრეგებლობა, დანა-სისხლათ გადამტერება,—მართლაც შეეძლო წარმოედგინა, რომ ქართველი ერი თავის აღსასრულის წინ იდგა. არავის მოსვლია თავში, რომ ამ მოვლენათა მიზეზი უდროობა იყო, აქედან უპასუხისმგე-

ბლობა. ერი ვითარდებოდა ეკონომიურათ, იზრდებოდა გონებრივათ, იბადებოდა ახალი კლასები, პარტიები, ხოლო ასპარეზი არსაით სჩანდა, ზევიდან დამხობოდა უპურქმატელო ცარისტული რეჟიმი.

განა გასაკვირია, თუ ქართველ ერის უკეთესი ძალები სწორეთ ამ რეჟიმის დამხობისკენ მისწრაფოდა? ჩვენ ამ ძალებში ვგულისხმობთ არა მარტო ერთი წრის და პარტიის ხალხს, თავისთავათ მისახვედრია. ყველა წრენი და პარტიები, მთელი ქართველი საზოგადოებრივობა რევოლუციურათ იყენენ განწყობილნი. და ამის მიზეზი კი იყო ეროვნული ჩაგვრა!

მაგრამ ამაზე სწორეთ ნაკლებ ფიქრობდენ. საფიქრებელი და თავსამტვრევი რეჟიმის დამხობა იყო, როგორც ვსთქვით. აქედან ადვილათ ასახსნელია ქართველების ისტორიული როლი უდიდეს იმპერიის რევოლუციებში. ეს როლი არ რგებია არც ერთ სხვა არარუს ერს.

დაპკრა თავისუფლების კამმა, მოპყვა რეჟიმის დამხობა, იმპერიის დანგრევა და ქართველი ერი თავის ადგილზედ აღმოჩნდა. მან ააფრიალა დამოუკიდებლობის დროშა და მის ქვეშ მოპყვენ ყველა ის წრეები და პარტიები, ვინც კიდევ გუშინ ქოჩორში ჩაფრენოდენ ერთმანეთს! მტრები გაიძახოდენ—და

ასეთები ცოტა არა ჰყავს ქართველ ერს—, ამას რას ვხედავთ, «უღალატეს საქაცობრიო იდეალებს, ნაციონალისტები ვახდენ!»

ერი გამრთელდა, აღსდგა მკვდრეთით, იწყო ხელმწიფება და ეს ფაქტი იცნეს სხვა ერებმაც, საქართველოს რესპუბლიკა მოხაზულია პოლიტიკურ რუკაზედ, იწყება მისი თანამედროვე ისტორია.

ხურვინ იფიქრებს, გულში ნუ გაივლებს, რომ დამოუკიდებლობის დაკარგვა კვლავ დაუბრუნებს ქართველ ერს უისტორიო ხანას, დაარღვევს მის სხეულს, ჩაჰკლავს მასში ერთობის გრძნობას; ხელმწიფების ნებისყოფას.

ავგისტო-სექტემბრის აჯანყება სწორეთ იმის მომასწავებელია, რომ ქართველმა ერმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ თავის ვინაობის განსაზღვრულათ. დიან, პატარა ვარ—თითქო ეუბნებოდა ქართველი ერი კაცობრიობას—, მაგრამ სიმართლე სამართლიანობა ერთია, მე ვიბრძვი ამისათვის, მიბრძვია საუკუნოები, პატარაც ამატომა ვარ, «სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა...»

და «სიკვდილი სახელოვანი» ბევრმა ნახა აგვისტო-სექტემბერს. რაა ეს, თუ არა ქართველ ერის აპოთეოზი? ერი დაუბრუნდა უხსოვარ დროთა თავის ადათს: იწყო საუკეთესო შვილთა ასობითათასობით სამშობლოს საკურთხეველზე მიტანა. აბა გაიხსენეთ გუშინდელი უდროობა, განა ცოტა იყო მაშინაც მსხვერპლი, განა სამშობლოსთვის?!

ჩვენ არ ვასახელებთ აჯანყების, მის წინ და მის შემდეგ, მიტანილ მსხვერპლთ, შეუძლებელია ჩამოთვლა, დაუშვებელია ერთის დასახელება, მეორის არა, მთლათ დანაშაულია მათი დანაწილება პარტიებად, არა, ისინი არიან ერთი, განუყრელი, უცნობი გმირი, სადიდებელი, საამაყო, რომელსაც მადლიერი ერი ძეგლს დაუდგამს ერთს, მარტო ერთს, პაეროვანს, წარმტაცს.

ფიზიკურათ დავმარცხდით, ზნეობრივათ გავიმარჯვეთ—ამბობდენ, ჩვენც გვითქვამს. არა, გამარჯვება სრული იყო, ფიზიკური და ზნეობრივი: აღსდგა თანამედროვე ერი. 26 მაისს ჩვენ აღგვადგინა გარემოებამ, მოულოდნელათ, მეთაურთა უნებურათ. აგვისტო-სექტემბერს ერი თვით წამოიჭრა, სცადა ადგომა. დაეცა, მართალია, მაგრამ მისი სხეული,

მისი სული არ დაცემულა, პირიქით, ადგა. გაცოცხლდა: ჩვენს წინაშე სდგას ცოცხალი არსება მთელის თავის თვისებებით: ერთი სახე, ერთი გრძნობა, ერთი აზრი, ერთი მე.

დაჯანყის სული სწორეთ ამიტომ გახდა უძლევი ქართველ ერში, ქართველში. იგი ვერ მოისვენებს, ვერ ჩანელდება, ვერ გაჰქრება, სანამ სხეულს გარეშე ძალა ხუთავს. ვამბობთ «გარეშე», რადგან არაა შინაური ძალა, რომელსაც მისი შებორკვა შეეძლოს. იმ დღეს, როცა საქართველოს მიწა-წყალს დასტოვებს უცხო ლაშქარი, ეროვნული დროშა თავისით აფრიალდება, უხმლოთ, უკამათოთ, თვით ჩვენი არამზადანი მოინდომებენ მის ქვეშ თავის შეფარებას. აი, რას ჰქვია ერი, რით ვამაყოობთ!

არა ნაკლებ ვამაყოობთ იმით, რომ ეს ჯანყის სული მოსდებია მეზობელ ძმა ერებს, მთელს კავკასიას, ჩვენს საერთო სამშობლოს. საერთო გაქვირებამ, მწარე გაკვეთილებმა შექმნა ახალი სულისკვეთება, მიდრეკილება, რაიცა ჰპოვებს თავის გამოხატულებას ერთ და განუყოფელ კავკასიის იდეის დაბადებაში. პირობები კავკასიის იდეისა თითქო არსებობდა ყოველთვის: გეოგრაფიული, ეკონომიური, პოლიტიკური. მაშ რატომ ვერ შეისხა მან სისხლხორცი? იმიტომ რომ ამის წინააღმდეგი იყვნენ გარეშე ძალები, ჩრდილოეთით და სამხრეთით. დღესაც ისინი ემუქრებიან მას:

დადგა დრო, როცა ამას იგებენ ქართველი, სომეხი, თათარი, მთიელი. ისინი სტოვებენ განზე ყურებას, გარედან შველის მოლოდინს და თანდათან ადგებიან ერთად ერთ შესაძლებელ გზას ერთმანეთთან დაახლოებისა და საერთო ძალით კავკასიის კონფედერაციის შექმნისა. რომელიც უზრუნველჰყოფს თვითეულ ერის ნორმალურ განვითარებას და ოთხივე ერის თავისუფლებას.

ეს საერთო მახლობელი მიზანი უკარნახებს მათ საერთო საშვალოებებს მის მისაღწევათ. ამიტომ თვითეულის ჯანყის სული უნდა იქცეს საერთო კავკასიის ჯანყის სულად, რომ თავის დროზე იფეთქოს და მტერი სძლიოს. ჩვენ, ისე როგორც მეზობლები, ერი ვართ სათითაოთ; დადგა დრო, როცა ოთხვე ერმა უნდა ვიზრუნოთ კავკასიის ძლიერ სახელმწიფოს შექმნისათვის.



ქ ა რ ი ბ ღ ა ს ა დ ა ს ც ი ლ ა ს ო შ უ ა

ლენინმა რომ გადატრიალება მოახდინა, თვალი ევროპისაკენ ეჭირა. განკერძოვებულათ ბოლშევიკური რუსეთის არსებობა და მით უმეტეს წარმატება მას არასოდეს სწამდა. ევროპის და შემდეგ საერთაშორისო რევოლუციას. მისი გეგმით, უნდა გაეწოდებია დახმარების ხელი საბჭოებისათვის. ეს დახმარება უნდა ყოფილიყო სასწრაფო. თვეების განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლშევიზმის საქმე წაგებულ იყო. ლენინის შეხედულება არ გამართლდა, მსოფლიო რევოლუციას არ აქვს ადგილი და მოსკოვის ხელისუფლებამ კი აგურ ცამეტი წელიწადია არსებობს და აქა-იქ საგარეო ხაზზე კიდევ ფაფხურობს, თითქოს აქტივობას იჩენს, თითქოს პოლიტიკას «ქმნის», თითქოს «ჯიუტი» საფრანგეთი კი «გასტენა» და აიძულა მასთან ნორმალური თითქოს (ყოველშემთხვევაში ვაჭრობის სახით) დაემყარებია.

რაშია საქმე? მოსკოვი, რომელიც აუჯანყდა მსოფლიოს და მის ცივილიზაციას განადგურებით ემუქრება, თავისუფალია და თავისუფლად და ფართოდ ემზადება თავისი გეგმების განსახორციელებლად (დღეს არავისთვის დაფარული არ არის, რომ მოსკოვი არა ჩვეულებრივი ენერჯით და სისწრაფით ემზადება ომისათვის, რომ მრავალი უცხო სპეციალისტი და კაპიტალია ამუშავებული იქ ამ მიზნით). რით აიხსნება მოსკოვის ეს პრივილეგიური მდგომარეობა, ერთი შეხედვით პარადოქსალური, და რამდენჯანს გასტანს იგი.

მოსკოვის პრივილეგიური მდგომარეობის მიზეზი მრავალია, ხოლო მთავარი, ჩვენის აზრით, ოთხია:

1) სტალინიზმის უიდეობა. ლენინის ბოლშევიზმი განსახდერული სოციალ-პოლიტიკური კონცეპცია იყო, ამკარათ და გადაჭრით დაპირდაპირებული სხვა არსებულ სისტემებთან, ლენინს ახალი სახარება, ახალი რელიგია, მიქონდა ხალხთან და მას ცნონებას ამ ახალი გზით პირდებოდა. ლენინს სწამდა ეს ახალი გზა, მით კაცობრიობის ხსნა, იდეური იყო მისი განზრახვა, იდეური იყო მოქმედებაც მისი. იდეას თან ახლავს ენტუზიაზმი და ლენინის ბოლშევიზმიც ცნობილია ამ ენტუზიაზმით. ამ ენტუზიაზმა მისცა ლენინს ხელისუფლება და, სანამ ეს ენტუზიაზმი ჩაქრებოდა, მას უნდა მოესწრო განყენებულ რელიგია პრაქტიკულ ადათად. ჩვეულებათ ექცია, წინამდევ შემთხვევაში ხელისუფლებას უნდა გასცლოდა და განევძო იდეური მუშაობა, თორემ კარგი იდეაც ცუდ სამოსელში გახვეული გადაგვარდებოდა, დაკარგავდა მომხიბლობას და ბევრს წააგებდა როგორც ახალი მებრძოლი ძალა. ეს გარემოება ლენინს კარგათ ქონდა გათვალისწინებული და ამიტომ მან გადაჭრით განაცხადა, თუ მსოფლიო რევოლუცია არ მოგვეგვლა. ჩვენი საქმე წაგებულაო და ამ რევოლუციისთვის ის ანგარიშობდა თვეებს და არა წლებს. მე მესმის სავსებით ლენინის სულისკვეთება, იდეური კაცი, რომელსაც იდეა, მი-

სი სიფაქიზე, მისი განხორციელება ანტერესებს და არა ხელისუფლება ხელისუფლებისათვის, რასაკვირველია, სხვანაირათ ვერ იმსჯელებდა და ვინ იცის, რომ ლენინი ცოცხალი ყოფილიყო, შესაძლოა ბოლშევიზმს ხელისუფლება მიეტოვებია, მაგრამ იდეურათ უფრო ძლიერი ყოფილიყო დღეს და მსოფლიო ცივილიზაციისათვის მეტი სახიფათო, მაგრამ ლენინი წავიდა და მასთან ერთად ლენინიზმიც და მისი ადგილი სტალინიზმა დაიკავა, რომელიც ხასიათდება ფორმულით—ხელისუფლება უაღრესათ ზეკლასურია, ზეკლასურია იმ აზრით, რომ არც ერთ სოციალურ კათეგორიას ის არ ეყრდნობა და არ ემსახურება, ის ყველას ებრძვის და ყველანა ბატონობს. რით? მოხერხებულათ აგებულ სახელმწიფო აპარატით, თვითუღს თვითუღის და ყველას წინამდევ ამხედრებს და მით სპობს შესაძლებლობას ხელისუფლების წინამდევ მოლიანათ ამოქმედებისა; ცალკე დაქუცმაცებული გამოსვლები კი მოხანს ვერ აღწევენ. რომ ხალხში უკმაყოფილება დიდია ბოლშევიკური ხელისუფლებით, ამას თვით ქარ. «კომუნისტი» მოგვითხრობს: ქუთაისის, სიღნაღის, სამტრედიის და სხვა რაიონებში გლეხები თავს ესხმიან კოლმეურნეებს. მრავალია მკვლელობის, ცემის, ქონების განადგურების და სხვა შემთხვევები. მთელ რიგ რაიონებში გლეხები არ აბარებენ სათესლს მასალას, საქონლის საკვებს და ანადგურებენ მუშა-საქონელს. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში დიდი დემორალიზაციაა, ხშირია შემთხვევები, როდესაც თვით პარტიულები ფარავენ ხელისუფლების მიერ დევნილ გლეხებს (ქარ. «კომუნისტი» № 104 (3059), № 106 (3059)).

ასეთ ადგილებს კომუნისტურ პრესაში, სადაც ხალხის უკმაყოფილება ხელისუფლებით აშკარათა ხაზის, ბევრს შეხედებით, მაშინ როცა ბოლშევიკები ყოველ საშვალებას ხმარობენ, მათი სამეფო, ქვეყანას სამოთხედ მოაჩვენონ და ნაკო რაც შეიძლება მიფარონ. რომ ხალხი უკმაყოფილოა ბოლშევიკური ხელისუფლებით, ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ხელისუფლებას ყველაფერი ამიქვს ხალხისაგან და მას არაფერს აძლევს. ხალხი ხელისუფლებისათვის და არა ხელისუფლება ხალხისათვის. აი როგორ ფიქრობს მოსკოვის ხელისუფლება. აქედან მთელი ის პოლიტიკური, ეკონომიური, უფლებრივი და მორალური სიმახინჯენი, რასაც დღეს ადგილი აქვს ბოლშევიკების სამეფოში. ბოლშევიზმის უიდეობამ გასთხარა უფსკრული ხალხსა და ბოლშევიკურ ხელისუფლებას შორის, ბოლშევიზმის მორალური სისუსტე შიგნით უეჭველი ფაქტია, ამას, სხვათა შორის, მჭერმეტყველურათ ამტკიცებს ტერორის სიმწვავე მისი ცამეტი წლის არსებობის თავზე. ბოლშევიზმი იდეურათ და მორალურათ სუსტი შიგნით, რასაკვირველია, გარეთ ეპიდემიათ ვერ იქცევა და მსოფლიოს ბოლშევიკური ცეცხლით ვერ აღანთებს. ამას კარგათ ხედავენ გარეშე მაყურებელნი და გულხელდაკრევილნი უცდიან მოვლენების შემდეგ განვითა-

რებას. ამგვარათ, ბოლშევიზმის იდეური და მორალური სისუსტე არის ერთი მთავარი მიზეზთაგანი მისი არსებობის გახანგრძლივების. ეს ერთი შეხედვით პარადოქსი ადვილი გასაგები იქნება, თუ წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა, რომ 160 მილ. ხალხი, რომელსაც დღეს მოსკოვის ხელისუფლება ბრძანებლობს, მართლაც იდეური კომუნისტები იყვნენ და ხელისუფლებასთან ერთად საერთაშორისო მასშტაბში ბოლშევიკური მიზნების განხორციელებისათვის მოქმედებდნენ. ეს ხომ შეაჩვენა მსოფლიოს, მას გულგრილობიდან გამოიყვანდა და აქტიურ შეჯახებაში ძალთა ახალი ურთიერთობა გაიჭედებოდა. მაგრამ ეს ასე არ არის. ბოლშევიზმი შიგნით ალაგმულია თვით ხალხის მიერ, და მას გასაქანს არ აძლევს და ვერც მისცემს, რადგან ხალხი თავის თავის წინააღმდეგ ვერ წავა.

2) საერთაშორისო ვითარება. ომისაგან შექმნილი საერთაშორისო ვითარება ვერ დარჩა მტკიცე. კალაპოტიდან ამოვარდნილ ცხვირებს არ ეღირსა დალაგება. ვერსალის ზავის შემდეგ მთელ რიგ ეკონომიურ, პოლიტიკურ და, თუ გნებავთ, მორალურ კრიზისების მოწამენი ვართ. კაცობრიობის სინდისი რალაც დაავადებულია, ამწყობ უკმაყოფილოა, მომავლის პერსპექტივებისაკენ გზა კიდევ არ გამოვლია, იგი ეძებს, აქტიურათ ეძებს ამ გზას და უკმაყოფილო დუდღუნობს, რომ ვერ უნახავს მორალური ნავთსაყუდელი, რომ ქარიშხალი, რომელიც შორს ჰორიზონტზე კიდევ მოხანს, თავიდან აიცილინოს. ამ საერთაშორისო კრიზისის გახანგრძლივებას ბევრათ შეუწყობ ხელი ბერლინმა, რომმა და მოსკოვმა. ესენი კრიზისს აქტიურათ ამწვავებდნენ, რომ მოემზადებიათ პირობები ახალი ურთიერთობის შესაქმნელათ. ეს საერთაშორისო ავადმყოფობა ისარგებლა მოსკოვმა და დღემდის სული მოიტანა. მოსკოვი არაფერს კარგავს. მან კატასტროფით დაიწყო და კატასტროფითვე უნდა გაათავოს. ეს მისთვის ფატალური აუცილებლობაა. ამიტომ დადებითს ღონისძიებებზე ფიქრი და ზრუნვა თავის გადასარჩენათ მას არ შეუძლია. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ფაშისტურ რუმის. ორივე ერთნაირათ იშვა, გაიხარდა და ერთნაირათვე უნდა მოკვდნენ. სულ სხვაა ბერლინის მდგომარეობა. მან ნათლათ დაინახა, რომ საერთაშორისო კრიზისთან და კრიზისით თამაში, მას საბოლოო კატასტროფას უმზადებს, რომ მოსკოვის თანამგზავრობა მას გაუსწორებელ ზიანს აყენებს, რომ მისი სხნა დასავლეთთან ლოიალურ და გულწრფელ თანამშრომლობაშია და ამ მიმართულებით დღეს აქტიურათ მუშაობს. თუ ბერლინმა პარიზის ნამდვილი ნდობა მოიპოვა, რაც არც ისე იოლი საქმეა, საერთაშორისო ატმოსფერა დიდათ გაჯანსაღდება და მოსკოვს კი სულისთქმა შეესუთება და შესაძლოა გულიც გაუსკდეს, რადგან ჯანმრთელი ჰაერით მას სუნთქვა არ შეუძლია.

გნახოთ. ახლო მომავალი ბევრ რასმე გვიამბობს.

3) ჩართული კაპიტალი. ევბე მკითხველს გაუკვირდეს, რომ ვამბობთ, ბოლშევიზმს უცნო კაპიტალი ესმარება. მაგრამ აქ გასაკვირი არაფერია, რადგან ჩარჩული კაპიტალი ეძებს ისეთ ანორმალობას,

როგორც ბოლშევიზმა შექმნა და ზოგიერთ შემთხვევაში თვით ქმნის ამ ანორმალობას. რომ იქ თავისუფლად გაინავარდოს და რაც შეიძლება მეტი ააფექტენას მსხვერპლს. დღევანდელი რუსეთი კლასიკური ქვეყანაა საჩარჩო ოპერაციებისათვის. განა სტალინმა არ სთქვა—ათეული და ასეული მილიონების დაკარგვა ჩვენთვის არაფერია. ოღონდ «რევოლუციონური დამოუკიდებლობა» შევინარჩუნოთ. ამ ჩარჩულ კაპიტალს ძლიერ ბევრი გააქვს, რასაკვირველია, მაგრამ ის ანარეკლი ამ ოქროსი, რომელიც ბოლშევიკებს რჩებათ, რამოდენიმეთ მაინც ეხმარება მათ.

4) მოსკოვის ფიზიკური, მილიტარული სისუსტე. ბოლშევიკები ომისთვის დიდი ენერჯით ემზადებიან. ამისათვის ხალხს, ფულს, პურს, იარაღს აგროვებენ. მარტო მონასტრებიდან რამდენი ფული და ძვირფასი ნივთეულობა გაიტანეს. ევროპა თვალყურს ადევნებს ყოველსავე ამას, მაგრამ ხედავს, რომ ხმალით მოსკოვი ევროპას ვერ გაუმკლავდება. მოსკოვის მილიტარული სამზადისი ევროპას ძილს არ უფრთხობს, რადგან იცის, რომ ბოლშევიკებისათვის ომი სამარე იქნებოდა. მოსკოვის უძლურებით აიხსნება ამ შემთხვევაში ევროპის მისდამი გულგრილობა.

რამდენხანს გასტანს მოსკოვის ხელისუფლება? —მარჩიელობა არ გვინდა ვიკისროთ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ყველა განხილული მოვლენა, რომლებითაც ბოლშევიკურ ხელისუფლებას უდგია სული, ნეგატიური ხასიათისაა. ცხადია, ასეთი ვითარება კიდევ დიდხანს ვერ გაგრძელდება და ბერლინის უკანასკნელმა მოვლენებმა გადამკრეფი როლი უნდა ითამაშოს ამ შემთხვევაში. აღსანიშნავია, ბოლშევიკები რამდენათ უფრო უახლოვდებიან განკითხვის წამს. იმდენათ უფრო უტკბება მათ ხელისუფლება, იმდენათ უფრო მეტ ენერჯიას და მოქნილებას იჩენენ სიცოცხლე გაიხანგრძლივონ. აქ ჩვენ ვხედავთ მათ სავარეო ოპორტიუნიზმს და შიგნით ინდუსტრიალიზაციას. სავარეო ოპორტიუნიზმი ბლავკი იარაღია, ის ბოლშევიკებს ბევრს ვერაფერს შემატებს. ინდუსტრიალიზაცია კი კარგი საქმეა, მას შეუძლია ნაყოფი გამოიღოს, რომ მართლა მისი განხორციელება და გამოყენება ბოლშევიკების სამეფოში შესაძლებელი იყოს. მაგრამ, მწარე სინამდვილე ამბობს, რომ ეს შეუძლებელია.

თვით ბოლშევიკური პრესა შეგვიძლია ვიმოწმოთ ამ შემთხვევაში. ქარ. «კომუნისტი» ელექტროფიკაციის გეგმის შესრულების შესახებ ვკითხულობთ შემდეგს: ურალზე მიმდინარე წლის პირველ იანვრისათვის ქონდათ 41.000 კილოვატი, გეგმით გათვალისწინებულ 165.000 კილ. ნაცვლად, ჩრდილოეთ კავკასიაში 86.000 კილ. 186.000 კილოვატის ნაცვლათ, უკრაინაში 93.000 კილ. 420.000 კილ. ნაცვლათ, ხოლო ციმბირსა და შუა აზიაში არცერთი კილოვატი. ქარ. «კომ.» № 104 (3059).

ინდუსტრიალიზაცია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საფეხურია. მის განხორციელებას მრავალი პირობა ესაჭიროება: კაპიტალი, ტექნიკური ძალა, თავისუფალი მუშა ხელი, ნედლი მასალა, პროდუ-



ქტებს ბაზარი, შესაფერისი პოლიტიკური და უფლებრივი ნორმები და სხვ. ბოლშევიკებს ამ პირობების თავის მოყრა არ შეუძლიათ, ასე რომ მათი ინდუსტრიალიზაცია აქედანვე განწირული საქმეა, მაგრამ, რომ მოხდეს სასწაული და ინდუსტრიალიზაცია განხორციელდეს, მაშინ ბოლშევიკების ბატონობაც არ იქნება, რადგან სოციალურ ძალთა ახალი

განწყობილება, ახალ პოლიტიკურ სახეობას მოითხოვს. ასე რომ ბოლშევიკები ქარიზდასა და სცილას შუა არიან მომწყვდეულნი, უინდუსტრიალიზაციო სიმშობილი მოკლავთ, ინდუსტრიალიზაციით კი სიმაძღრე, საერთაშორისო ურთიერთობაც, რომ კიდევ ერთხანს მათ სასარგებლოდ დარჩება.

ილია ნუცუბიძე.

ჩვენის უპირველესი ამოცანა

ჩვენში ახლა გაბატონებულმა საოკუპაციო ძალამ მოსპო ცხოვრების ყველა ნორმალური პირობები; ქართველი ხალხის ოჯახურ, ინდივიდუალურ, საზოგადოებრივ ცხოვრებას გამოაცალეს ნივთიერი, განებრივ-ზნეობრივი ფუძე და შეიქმნა თითქმის ქაოსური მდგომარეობა ცხოვრების ყველა დარგში. ეს ძალაუფლება ახლო მომავალში უქვევლია უნდა მოსცილდეს ამა თუ იმ გზით ჩვენ სამშობლოს, მაგრამ ის გვიტოვებს ისეთ მძიმე მემკვიდრეობას, რომელიც ესლავე მოითხოვს ყოველმხრივსა და ზედმიწევნით აწონ-დაწონილ გათვალისწინებას. ქვეყნის ყველა ცხოველყოფელ ძალთა ამუშავებას შეთანხმებულ მოქმედების ნიადაგზე. — უმთავრესი ამოცანა — ანარქიის თავიდან აცილება ეროვნულ ცხოვრების ყველა ნაწილებში, მიზანშეწონილობისა და წარმოებათა რაციონალური მოგვარების საშუალებით. — ამიტომ ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ შემდეგი წინადადებით მივმართოთ ქართველ ემიგრაციას, რომელსაც უპირველეს ყოვლისა ევალება ამ მიზნისათვის ზრუნვა, რადგან ემიგრაცია იმ უპირატესობის მდგომარეობაშია, რომელიც იძლევა საშუალებას თავისუფალი მუშაობისა და ხელშეუშლელ მოქმედებისათვის.

1) სახელმწიფო-სამეურნეო წარმოება: ეს უდიდესი დარგი ჩვენი სახალხო მეურნეობისა უსათუოდ მოითხოვს ახალ საშუალებათ თავისი აღდგენისათვის, რადგან ის დაქცეულია როგორც უფლებრივი ისე წარმოების აპარატის მხრივ. მოსპვე წინანდელი კერძო მფლობელობა და მის ნაცვლად დაამკვიდრეს კოლექტივიზმი და მით მოიშალა წინანდელი როგორც მფლობელობის ისე წარმოების ფორმა და წესი. იბადება საკითხი წარმოების, რა წესი და რა გზა-საშუალება უნდა შემოვიღოთ ქვეყნის განთავისუფლებისას? სასოფლო მეურნეობის მსვლელობა-განვითარება არ უნდა შეფერხდეს არას გზით და ამიტომ საჭიროა, წინდაწინვე გავითვალისწინოთ მრავალი საკითხი, როგორც მაგალითად:

რამდენად იქნება შესაძლებელი ნორმალური წესების აღდგენა მფლობელობისა და წარმოებისათვის?

*) ეს წერილი იბეჭდება დისკუსიის სახით. სასურველია სხვებიც გამოეხმაურონ ამ წერილებში აღძრულ საკითხებს. ჩვენ სიამოვნებით მოვითვალისწინებთ მათ და შემდეგ ჩვენს აზრსაც გამოვსთქვამთ.

რედაქცია.

რა გზა-საშუალება უნდა გამოინახოს სასარგებლოდ, სადაც მაგალითად შეუძლებელი-ლა იქნება ძველ მფლობელობათა დაბრუნება ან აღმოჩენა?

რა ორგანო უნდა შეიქმნას და რა შემადგენლობით, რომელიც ამგვარი კითხვების შედარებით უმტკივნეოდ მოგვარებისათვის იზრუნებს და იმოქმედებს ჩვენში?

იქნება მრავალი სხვა საკითხიც: მეურნეობის წარმოებათა ახალი ორგანიზაციების შექმნა და სამეურნეო დარგის ნაწარმოებათა ეროვნული გამოყენება; ნაწარმოებათა დაჩქარებით გადამუშავება და გასაღება; საამისო აპარატის შექმნა; აგრეთვე კრედიტის მოგვარება. ყველა ამგვარი პრაქტიკული საკითხების მოგვარება მოითხოვს ახალ ორგანოთა შექმნასა და ამუშავებას. აი, საამისო წესები და გეგმა თავიდანვე უნდა გვექმნოდეს დაამუშავებული და გათვალისწინებული, ყოველ შემთხვევაში ზოგადად მაინც.

2) სამოქალაქო სამრეწველო დარგი მოითხოვს ასეთსავე ინტენსურსა და ყოველმხრივ წინასწარ შესწავლასა და გათვალისწინებას. ახლანდელი «სახელმწიფო სოციალიზმის» მერყევის დროს, ცხადია თავს წამოყოფს კერძო წარმოება, კერძო ინიციატივა, რომელსაც ფართო სარბიელი მიეცემა. — იბადება კითხვა, რა ორგანოებით თუ ორგანიზაციებით ამუშავდება კერძო თაოსნობა? საფიქრებელია, რომ მრავალ შემთხვევაში, ძველი ძალები ან სრულიად მოსპობილი არიან ან საბოლოოდ ჩამოშორდნენ წარმოებას. ასე რომ ძველ გამოცდილებასა და ცოდნაზე განსაკუთრებით დიდ იმედებს ვერ დავამყარებთ, ახალი ძალთა შექმნისა და მათი მწყობრად გამოყენებისათვის მიუცილებლად საჭიროა მრეწველობის განსაკუთრებულ, ახალ პირობათა გულდასმით შესწავლა სათანადო გეგმათა წინასწარ დაამუშავებისათვის.

3) ვაჭრობა როგორც საშინაო, ისე სავაზრო, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და მასზე ნამეტნავად დამოკიდებული ჩვენი ნივთიერი კულტურა. ამიტომ ამ საკითხსაც წინასწარი დაამუშავება უნდა: — რა წესით და რომელი ტექნიკით ან აპარატით ავამუშაოთ ჩვენი ვაჭრობა? — რა ორგანო უნდა შეიქმნას და რა შემადგენლობით? აქაც საჭიროა წინასწარი გეგმის შექმნა, თუნდაც საერთოდ მცხუნვლელობით.

4) თვითმართველდები აუცილებლად მთავარი ფუნქციები იქნებიან ჩვენი საზოგადოებრივი ამოქმედებისათვის. როგორ უნდა აღვადგინოთ და ავა-მუშაოთ თვითმართველობანი; როგორ განისაზღვროს მათი ფუნქციები? თვით ტიპისა და ფორმის საკითხიც შესასწავლია. საამისო გეგმაც უნდა გვექონდეს წინასწარ განსაზღვრული.

მრავალ სხვა საჭიროებოროც საკითხთა შორის, მაგალითად: ადმინისტრაციის მოწყობა, მისი ტიპის შემუშავება, სასამართლოს ორგანიზაცია, სახალხო განათლების, ჯარის, შრომის პირობები და სხვა მრავალი კიდევ მეტ ყურადღებას მოითხოვს.

ცხადია, ცხოვრების მსვლელობა შემდეგში თვით შექმნის საჭირო ნორმებს და გამოიმუშავებს შესაფერ ტიპებს ყველა სამოქმედო სარბიელისთვის.— მაგრამ მთავარი საკითხია, მომზადებული და სრულიად შეიარაღებული დაფხვდეთ ქვეყნის განთავისუფლებისას სინამდვილის პირველი დღისათვის მოთხოვნილებას. აი, ჩვენი პირველი მთავარი ამოცანა! საამისო დროც გვაქვს, ძალებიც შეგგვყვება.

ამ წინასწარ გეგმათა თეორიული დამუშავება და

პრაქტიკულად შექმნა უნდა მიენდოს საგანგებო ორგანოს, ერთ კერძო ცენტრალურს, სამეცნიერო საზოგადოებრივ ორგანიზაციას ჩვენი ემიგრაციის ცენტრში,—განურჩევლად მიმართულებისა,—პარიზში. მას შეუძლია იქონიოს განყოფილებანი სხვა და სხვა ქვეყნებშიაც.

ცხადია, ეს მეცნიერული წრე უნდა პრაქტიკულად მიუდგეს ჩვენი ქვეყნის სინამდვილის შესწავლას და სათანადო პრაქტიკულ ზომათა გამომუშავებას, გეგმათა შედგენას ცხოვრების სხვადასხვა საკითხთა გადასაწყვეტად. მის საქმიანობას ის დარგობრივად გაანაწილებს და თავის შრომას მიაწვდის საზოგადოებას ბეჭდვითი, ლექციებისა, საუბრისა და მოხსენების საშუალებით.

აი, ის კითხვები, რომელთა დასმა-გარკვევა ქართულ ემიგრაციაში მცოდნე და გამოცდილ პირებისთვის ძალიან სასარგებლო მუშაობა იქნება და თავიანთი მადლიანი შრომით ჩვენ ხალხს მომავალში დიდ სამსახურს გაუწევინებს.

ვლ. ანტონოვი

საქართველოს წარმომადგენელი გერმანიაში.

ჩვენი მთავრობა და ემიგრაცია

დღევანდელ ჩვენს ემიგრაციაში, არსებულ ჩვენი მდგომარეობის მიხედვით ევროპაში, ვერ არის საქმე ყველგან სასურველათ წარმოებულში!..

ამის მიზეზის გამოსარკვევად სწირათ განმეორებაც გვეჭირდება, თუ—

როგორია დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა აქ? და, თუ ამ კითხვას კარგათ გარკვეულ და გადაჭრილ პასუხს ვაძეგვით, მაშინ, ცხადია, ერთ გარკვეულ და ურყევ გადაწყვეტილებას მივიღებთ ემიგრაციაში სახელმძღვანელოთ.

როგორია მდგომარეობა?

დიდი ხანია ქართველი ერი დაპყრობილია მტრისაგან და, მიუხედავად ამისა, მაინც ბრძოლას განაგრძობს, არ ურიგდება დამპყრობელებს.

მტრის შემოსევის მიზეზით არსებობს ემიგრაცია შინ, ემიგრაცია გარეთ. პოლიტიკური პარტიები შინ, დესპოტიურ პარტიებში. არალეგალურათ მომუშავენი, პოლიტიკური პარტიები აქ, გარეშე ემიგრაციაში, თავისუფლათ მომქმედნი.

არსებობს საერთო ბრძოლის ფრონტი და, ამ საერთო ქართულ ფრონტს დი მის ბრძოლას ხელმძღვანელობს ქართული, ეროვნული მთავრობა. ასეთია ფაქტიური, რეალური მდგომარეობა.

თავისუფალ ნებით არჩეულ ეროვნულ მთავრობას ქართველი ხალხი დღეს ძალით შემოჭრილ უცხო ძალას უპირდაპირებს ჩვენში და ამ მთავრობასთან ერთათ მტრის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობს. დღევანდელ ჩვენს ეროვნულ ბრძოლაში ეროვნული მთავრობა ხდება დამოუკიდებლობის სიმბოლოთ ჩვენი ხალხისთვის. ამ მთავრობისადმი ნდობა და მისი ცნობა, მამასადამე, გამომდინარეობს—

ხალხისაგან. ეს სინამდვილეა, ხალხისაგან არ უარყოფილი—და აი ამ მდგომარეობას უნდა ვითვალისწინებდეთ და ვაქცევდეთ განსაკუთრებულ ყურადღებას.

ყველამ ვიცით, ერთათ ერთი მიზანი დღევანდელი ჩვენი ბრძოლის არის შემოსეული მტრის გარეკვა საქართველოდან და დემოკრატიულ, დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მთავრობა სოციალისტებისაგან შესდგება, მაინც ხალხისგან არჩეულია, ეროვნული მთავრობა და სოციალიზმი მისთვის დღეს გადადებულა, სადღეისო საკითხი არაა. ჯერ ერის თავისუფლება, დემოკრატიის განმტკიცება და, არავითარი სხვა მიზანი დღევანდელი ჩვენი ბრძოლის—აი როგორ დგას საკითხი დღეს ყველასათვის, სოციალისტისა თუ არა სოციალისტისათვის. ქართულ ეროვნულ ბრძოლაში მტრის წინააღმდეგ, საქართველოს მთავრობა ხდება ეროვნულ ძალათ დღეს, რომელიც ეროვნულ ბრძოლას აწარმოებს ხალხთან შეერთებული და მომქმედი მტრის განსადევნათ. დღევანდელ ჩვენს განსაკუთრებულ მდგომარეობაში—ეროვნული მთავრობა, რაც უნდა ნაკლი ჰქონდეს მას, დღეს მაინც აუცილებელი და პრაქტიკულათ უაღრესათ საჭიროა ჩვენთვის.

ევროპაც და სხვა ქვეყნები ანგარიშს უწევინებს, რომ ეროვნული მთავრობა გვყავს—მთავრობა ხალხის მიერ ნდობით არჩეული.

ევროპაში არსებობს შეკავშირებული ემიგრაცია—ქართველი პოლიტიკური პარტიები და კოლონიები!—და თუ ჩვენ ვამბობთ, ჩვენი დღევანდელი საერთო მიზანი—დამოუკიდებელი საქართველოს აღ-



დგენ არის, და ამის ხელმძღვანელი დღეს ეროვნულ-
ლი მთავრობაა, ჩვენი ვალია, მაშასადამე, მტრის
წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებულს ჩვენს პი-
პრობებში—ყველა პოლიტიკური პარტიები და კო-
ლონიები ვამაგრებდეთ მთავრობას, მხარს ვუჭერ-
დეთ მას იმავე ჩვენი საერთო საქმის პატივისა და
პრესტიჟისათვის.

ქართველი კოლონიები აქ-მინიატურაში იგივე
ქართველი ხალხია ასე თუ ისე: მიტომატ კოლონია
არც შეიძლება იყოს დღეს სრულიად აპოლიტიკუ-
რი ორგანიზაცია. დღევანდელ ჩვენს სამინელო ქარ-
ტხილში—ეს იმას დაემსგავსებოდა, რომ საერთო
ჩვენი ბინა ცეცხლში იყოს გახვეული, და ჩვენ კი,
იმის მაგივრად რომ ვაქრობდეთ, ვისხდეთ მხოლოდ
და ხელებს ვითბობდეთ!..

რას მოვიტხოვთ ჩვენ ქართველ ხალხთან ერთად?

მთავრობისაგან იხოლიაციას კი არა, არამედ მან-
სთან მჭიდრო კავშირს საერთო მიზნისთვის მტრის
წინააღმდეგ!—ეს მოგვცემს გამარჯვებას! კრიტიკა,

საზოგადოთ, კარგია, საქირთა, ამას არ უარყოფთ,
ყველას შეუძლია მთავრობის გზების და პოლიტიკის
კრიტიკა აწარმოვოს, მაგრამ კრიტიკა ზურგიდან
თავდასხმებით კი არა, არამედ შიგნიდან, ოჯახურ
მიზნებისათვის.

მოვიტხოვთ მთავრობის ცნობას კონკრეტულ-
ლათ, ცნობას სიტყვით კი არა მხოლოდ, არამედ ეს
ცნობა საქმითაც უნდა ხდებოდეს! დღეს ჩვენ განსა-
კუთრებულ პრობებში ვიმყოფებით—ბრძოლის
ფრონტზე—ბრძოლის პროცესში—და ამ დროს
ბრძოლის ხელმძღვანელს ვამაგრება და დახმარება
სჭირდება.

ეს არის ჩვენი საქმის გამაგრება და გამარჯვება,
მაშასადამე!

აი რას უნდა ემსახურებოდეს ჩვენი ემიგრაცია
დღეს აქ!

ეს უნდა ესმოდეს ყველას, ვისაც სურს ერთობა
და ხალხის ერდგული სამსახური.

მამეკე.

მ ო ს კ ო ვ ი წ ი ნ ე თ . დ ა მ ხ ლ ა

IX.

ბოლშევიკურმა დიქტატურამ საბჭოთა კავში-
რის მოქალაქეს ყველაფერი წაართვა: თავისუფალი
აზრი, თავისუფალი სიტყვა, თავისუფალი მრეხა და
და თავისუფალი მოქმედება. რამდენიმე თაობის
ოცნება დამფ. კრება მატროსებს გაარეკია. ლენინმა
ამის გიმცდილება მიიღო რუსეთში. მეფის მთავრო-
ბამ პირველი და მეორე სახ. დუმა ძალით გარყვა.
ხალხის წარმომადგენლებმა თავისუფლების დასაცა-
ვით ხალხს მიმართეს. მაგრამ მათი ხმა დარჩა ხმათ
მლადებლისა უდაბნოსა შინა. მატროსმა ყელე-
ხნიაკმა მეფის დროს სტალიპინის ბრძანება შესა-
რულა, რევოლუციის დროს ლენინის. რუსეთი არ
აღმოჩნდა დემოკრატიული პოლიტიკისათვის მომ-
წიფებული არც 1905 წელს და არც 1917 წელს.

12 წლის განმავლობაში ბოლშევიკური დიქტა-
ტურა ცდილობს გარდაქმნას თავის ქკუახე: საშვა-
ლო სასწავლებლები, უნივერსიტეტები, მეცნიერება
და მეცნიერები; ცდილობს ყველას კომუნისტური
თავი გამოაბას. რადგან ეს ძნელი და შეუძლებელი
საქმეა. ამიტომ იგი კიდევ მეტ ძალმომრეობას
იჩენს, ვინემ თვითმპყრობელობა, მაგრამ არსები-
თათ იმავე ზომებს ხმარობს მეცნიერების წინააღ-
მდეგ. რომელსაც მეფის მთავრობა მიმართავდა.


მე 20 საუკ. ყველა შეგნებული ადამიანის აღშფო-
თებას იწვევს, როცა ბოლშევიკები ე. წ. «ლიშენცე-
ბის» და საერთო ბურჟუაზიის შეილება სასწავლე-
ბელში შესვლის საშვალეებას ართმევენ. მაგრამ ეს
ასე იყო მუდამ რუსეთში, «ლიშენცები» ყოველთვის
არსებობდენ და მათთვის საშვალო და უმაღლესი
სწავლის გათავება ან სასეებით შეუძლებელი იყო,
ანდა ვაძნელებული. სასწავლებლებს თავიდანვე წო-
დებრივი და კლასიური ხასიათი მიეცა. რეაქციის
ცნობილი იდეოლოგები: კატკოვი, ლეონტიევი და
პობედანოსცევი, რომლებიც «რუსეთის ხალხის ერთ

წერტილზე გაყინვას» ქადაგებდენ. ამითაც არ დაკმა-
ყოფილდენ და განათლების მინისტრს დელიანოვს
1884 წ. ცნობილი ცირკულარი გამოაცემიეს, რომე-
ლიც დაბალი წოდების შეილება, ანუ როგორც მა-
შინ საზოგადოებაში ამბობდენ, «კუხარკინიმ დეტი-
ამ», საშვალო სასწავლებლის გათავების საშვალე-
ბას უსპობდა. ბოლშევიკებმა დელიანოვის ცირკუ-
ლარი უკუღმა შეაბრუნეს, განსხვავება მხოლოდ
ამაშია.

უნივერსიტეტებს დაარსებინ პირველ დღიდან-
ვე დაუწყეს დევნა. ალექსანდრე I, როგორც სხვა
დარგში, ისე განათლებისაშიც, თვისი მეფობის უკა-
ნასკნელ ხანაში ლიბერალები და განათლებული პი-
რები, რეაქციონერებითა და «ხანყებით» შესცვალა.
ასე მაგალითათ განათლებული ლიბერალი მინისტ-
რი რაზუმოვსკი 1816 წ. რეაქციონერმა თავ. ა. გო-
ლიცინმა შესცვალა, რომელმაც მიხნათ დაისახა
მეცნიერებისათვის სარწმუნოებრივი ხასიათი მიე-
ც. მან თანამშრომელთა კადრიც შესაფერი შექმნა.
პეტერბურგის სამოსწავლეებო ოლქის მხარჯიე-
ლად დანიშნა უფიცი რუნიჩი, ყაზანის—მაგნიცი და
ასე. აკრძალეს ისეთი სახელმძღვანელოები, რომლე-
ბიც ეკატორინე მეორის დროიდან იყო გამოცემუ-
ლი. უნივერსიტეტში შემოიღეს მონასტრული და
ყაზარმული წესები და ძნელი გასაგები შეიქნა—
მსმენელები სტუდენტები იყვენ, ბერები თუ სალ-
დათები!

1819 წ. მაგნიციკმ ყაზანის უნივერსიტეტის 20
პროფესორიდან 11 დაითხოვა, ხოლო დანარჩენებს
მოსთხოვა ლექციები ეკითხათ მის გემოვნებაზე, ასე
მაგ., პოლიტიკური ეკონომიის დებულებანი ახსნი-
ლი უნდა ყოფილიყო სახარებიდან ამოღებული ცი-
ტატებით.

რუნიჩი მაგნიციკის არ ჩამორჩა და 1821 წ. პე-
ტერბურგის უნივერსიტეტიდან დაითხოვა ყველა



ის პროფესორები, რომლებიც მეცნიერულ დირექტორებად წარმოადგენდნენ. მათგან, რომლებიც უცხოელები იყვნენ, უცხოეთში გადაასახლა, ხოლო რუსები — პროვინციაში. რამდენად უდიერათ და სასტიკათ მოეპყრა რუნიჩი პეტრობურგის უნივერსიტეტს, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ნიკოლოზ I, ამ ნამდვილმა სალდათმა იმპერატორის ტახტზე, 1827 წ. აკრძალა პროფესორების დევნა.

ჯერ მინისტრმა შირინსკი-შახმატოვმა, რომლის შესახებ საზოგადოებაში ლაპარაკობდნენ, უნივერსიტეტს არამც თუ შახი, «მცირე გაუქეთა», და მერე დელიანოვმა, სავსებით მოუსაძეს უნივერსიტეტს ყოველ გვარი ავტონომია და «დამნაშავე» სტუდენტებისათვის სალდათათ გაგზავნა შემოიღეს.

მაგრამ შეიძლება ვინმემ გვითხრას, ეს იყო ალექსანდრე პირველის, მეორის და მესამის დროს და მას შემდეგ დიდი ცვლილება მოხდა. დენა-შევიწროება ნიკოლოზ II უკანასკნელ დღემდის დარჩა. 1911 წ. ცნობილი რეაქციონერი მინისტრი შვარცი პროფ. კასსომ შესცვალა. არავის არ წარმოედგინა, რომ შვარცი «უფრო უარესი» კიდევ შეიძლებოდა. ალბათ ეს არ ეგონა არც თვით კასოს. მეგრამ დახეტ ბედის დაცინვას! მინისტრმა კასომ ისეთი მუხრუჭი მოუჭირა უნივერსიტეტს, რომ მათმა კედლებმა ჭრიჭინი დაიწყეს. მოსკოვის უნივერსიტეტიდან, რომელიც ერის კულტურის სიამყეს წარმოადგენდა, ვერძის მამულებით ცნობილი მეცნიერები დაფერთხა და მათ მაგიერ პროფესორი ჩინოვნიკები დანიშნა. ასე მოექცა დანარჩენ უნივერსიტეტებსაც.

ორიოდ სიტყვა «ნოროდცების» შესახებ. ისინი «ლიშენცების» კატეგორიას მუდამ ეკუთვნოდნენ. თუ როგორ ავიწროებდნენ ებრაელებს ამ მხრით, ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ არც სხვა «ნოროდცებს» დასდგომიათ კარგი დღე. ყოველ ღონეს ხმარობდნენ. რომ მათთვის სწავლის შესაძლებლობა გაერთოლებინათ. უწინარეს ყოვლისა არ აძლევდნენ სავალელებს განათლება ამიღოთ თავის მშობლურ ენაზე. გარდა ამისა არ აძლევდნენ საკუთარი საშვალე და უმაღლესი სასწავლებლის, თუ ვინდა რუსულ ენაზე, თავისი ქვეყანაში დაარსების ნებას. მართა თფილისში უნივერსიტეტის დაარსების ისტორია, ამ მხრით ბევრს გვეუბნება.

ბოლშევიკებმა სწავლა-განათლების საქმეში ცოტა კორექტივი შეიტანეს, მაგრამ არსებითათ იგივე დარჩა, რაც მეფის რეჟიმის დროს იყო. თავისუფალი სწავლა და მეცნიერება არც მაშინ აყო და არც ახლა არის.

დიქტატურამ ინტელიგენციას მოუსპო თავისუფალი აზროვნებისა და მოქმედების საშვალეობა და მას სასტიკათ სდევნის ყოველ ფენის ნაბიჯზე. ქმნის ხელოვნურათ პოლიტიკურ პროცესებს — ესეირების ცეკის წევრებისას, პროფესორებისას, ინჟინრებისას, უკრაინელ პატრიოტებისას და სხვათა. არა ერთი და ორი საუკეთესო ინტელიგენტი დახვრიტეს, ჩეკის სარდაფები მრავალი ტანჯვის მოწამე არიან, სალოკები და ციმბირი იდეისათვის წამებულელებით სავსეა. ბოლშევიკების ასეთი ჯალათობა

თავისუფლების მოყვარულსა და კულტურულ ადამიანში პროტესტსა და ზიზღს იწვევს და სამართლიანათაც. რუსული ემიგრანტული რეაქციონური საზოგადოება და მისი პრესაც ბოლშევიკების ჯალათობაზე გაკივის. მაგრამ მათ ავიწყდებათ ის, რომ ყოველივე ეს გაგორძელება იმისი, რაც მეფის დროს ხდებოდა და რის დაბრუნებაზეც ისინი ისევ ოცნებობენ.

პროვოკაციული ხელოვნური პროცესები თვითმპყრობელობის ბრძოლის ერთ მთავარ იარაღს შეადგენდა. 1852 წ. ნიკოლოზ I შური იძია ინტელიგენციაზე და შექმნა ე. წ. «პეტრაშევიცების საქმე», რომელთაგან 20 კაცი კატორლაში გაგზავნეს, დანარჩენები ციმბირში და სალდათათ. მათ შორის კატორლაში მოხვდა მწერალი ფ. დოსტოევსკი, რომლითაც ეხლა მთელი რუსეთი ამყობს. სანამ განაჩენს გამოუტანდნენ, ყველა მათგანი, დაშინების მიზნით, სახრჩობელაზე აიყვანეს და ფიზიკურათ და სულიერათ სტანჯეს.

რუსეთის აზროვნების სიამყეს ჩერნიშევსკის, «განმათავისუფლებელი» მეფის ალექსანდრე II-ის მთავრობამ ყალბი საბუთები შეუთხზა და ისე მისცა პასუხის გებაში. ეს იცოდა ალექსანდრე II და სასამართლომ, მიუხედავათ ამისა, ჩერნიშევსკი დამნაშავეთ იცნო და 14 წლის კატორლა მიუსაჯა. სასჯელი არც ვადის გათავების შემდეგ მოხსნეს ჩერნიშევსკის და განათავისუფლეს მხოლოდ მას შემდეგ, რა რომ მუშაობის უნარი დაკარგავსეთ ფაქტი მრავალია, მათ შორის, მეორე სახ. დუმის სოც. დემ. ფრაქციის წევრების გასამართლებასა და ბეილისის საქმეს უკანასკნელი მეფის დროს ქონდა ადგილი. სოც. დემ. ფრაქციისა და ბეილისის საქმე პოლიციის დეპარტამენტმა მოაწყო თავის აგენტების საშვალეებით და ორივე უმაღლესი მთავრობის კურთხევით მოხდა. ასე რომ ამ მხრით მეფის მთავრობას დიდი პრაქტიკა ქონდა და კარგი «სპეცებიც» ყავდა, შეიძლება ბევრი მათგანი ეხლა სტალინის უწყებაში ზის და ხელოვნურ პროცესებს აჯანყებენ.

საერთოთ რუსეთის ისტორიაში ძვირათ შეგდებათ ისეთ გამოჩენილ პიროვნებას და საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც ცინე. ციმბირი, კატორლა და სამშობლოდან გაძევება არ განეცადოს. მეფე ივანე მრისხანეს ხანას და ბოლშევიკების დიქტატურის ხანას შორის შეგიძლიათ გააბათ ინტელიგენციის დევნის ერთგვარი ჯაჭვი, რომლის ერთი თავი ხელში ეკავება ანდრია კურბსკის და მეორე — ლევ ტროცკის. შუაში კი მოექცევიან ყველა ეს ორდინანაშობიანები, კოტლოშინიები, დეკაბრისტები, პეტრაშევიცები, სპერანსკები, გერცენები, კრაპოტკინები, ლავროები, ბაკუნინები, პლენანოვები, მენჩიკოვები, კავალევსკები, ვინაგრაძოვები, მილიუკოვები, კუსკოვები, ბუნიჩინები და სტრუვეები. და ვინ იცის კიდევ უკანასკნელ რიგში მდგომი ტროცკი, ვის გადასცემს დევნის რგოლებისაგან აცმულ ჯაჭვის გაგრძელებას?!

როდესაც სტალინმა ტროცკი ჯერ საბ. კავშირის ფარგლებში გადაასახლა და მერმე ოსმალეთში



გააძევა, ბევრი გაკვირვებას მიეცა! ვერ გავგო რაში იყო საქმე? დარწმუნებული იყო, რომ ამას საბჭოთა კავშირში «დიდი ამბები» მოყვებოდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის! ტროცკი ეს ოქტომბრის რევოლუციის სიამყე, ლენინის მარჯვენა ხელი, მსოფლიო კომუნისტების ავტორიტეტი, წითელი არმიის ორგანიზატორი და ბელადი და მოწინააღმდეგეების რიგსხვა, ვიღაც სტალინმა ჯერ სახალხო კომისრობიდან მოხსნა, მერმე პარტიიდან გამოარიცხა და შემდეგ სამშობლოდან გააძევა! და როცა ამას ფაქტურათ არავითარი «დიდი ამბები» არ მოყვა, ყველა სკვირვებული დარჩა! გაუკვირდა იგი ალბათ თვით სტალინსაც, ტროცკის ასე ადვილად «ლიკვიდაციას» არც ის მოელოდა. ამან გამოიწვია სტალინის ავტორიტეტის გაზნა. ვინც ტროცკი დაამარცხა, ის აუცილებლათ მასზე დიდი კაცი უნდა იყოს და რაღაც «ჯადოსნური ძალა». უნდა ქონდეს, ფიქრობდნ ბევრნი. სინამდვილეში სტალინს არც არავითარი ჯადოსნური ძალა არ გააჩნია, და არც ტროცკის ოდენი ჭკუა და ცოდნა შესწევს. მისი «ჯადოსნური ძალა»—რუსეთის სინამდვილეა.

რუსეთს კაპრალი უყვარს, მის გარეშე არსებობა ჯერჯერობით მან ვერ შესძლო. ტროცკის მაგალითა პირველი არ არის, იგი მხოლოდ ძველის გავრძელება.

სუვოროვი რუსეთის მხედრობისა და მთელი ერის სიამაყეს წარმოადგენს. მან მოუხვეჭა რუსის მხედრობას მსოფლიო სახელი. არ ყოფილა ისეთი ორდენი და ჩინი, რომლითაც რუსეთის მთავრობას სუვოროვი არ დაეჯილდოებინოს. უეჭველია მის

დროის მხედრობასაც იგი ძლიერ უყვარდა. მაგრამ აი ეკატერინე დიდის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა ნახევრათ გაყი პავლე, რომელსაც სუვოროვი არ მოსწონდა და ამიტომ იგი მიყრუებულ სოფელში გადასახლა. ამისთვის თითიც არავის გაუწმრევია, არც მხედრობასა და არც საზოგადოებას.

სპერანსკი დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო. რამდენიმე წელს რუსეთს იგი მართავდა და არა ალექსანდრე I, მაგრამ ბოლოს ალექსანდრემ იგი გადასახლა და მის მაგიერ უფიცი არაქჩევევი ჩააყენა სახელმწიფოს სათავეში. არავითარი «დიდი ამბები» ამას არ მოყოლია.

მსოფლიო ომის დროს მთავარ-სარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე, უეჭველია რუსის მხედრობისთვის და მოკავშირეთათვისაც კი, ავტორიტეტს წარმოადგენდა. მაგრამ იგი არ მოსწონდა რასპუტინსა და იმპერატრიცა ალექსანდრა ფეოდოროვნას და ერთ მშვენიერ დღეს, როგორც თვითონ იმპერატრიცა ამბობს თავის მოგონებაში, მან უჩვენა მთელ ქვეყანას «თუ რა ძალა აქვს მის შავ ნიფხავს» და ნიკოლოზ ნიკოლოზისძე სარდლობიდან მოხსნა და კავკასიაში გადასახლა: ამ აქტით რასპუტინმა და დედოფალმა მართლაც რომ «ქალის ლეჩქა რუსის მხედრობას თავზე დაახურა». მიუხედავთ ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მას თავის ბელადის დასაცავათ თითიც არ გაუწმრევია.

იგივე ისტორია განმეორდა წითელი არმიის თავზედაც. სჩანს, სახელის გამოცვლა, შინაარსს არ ცვლის.

კაკი.

საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა *)

ადამიანი ესლა ხშირად გაიგონებს, რომ ამა თუ იმ ერის წარმომადგენელი თავის ერს უძველეს ერად სთვლის და აცხადებს ხოლმე. ეს წინადადება ამ ქამად თითქმის მასაბეზრებელ პიპერბოლად იქცა, რომელსაც მსმენელნი უფრო მეტრმეტყველების სამკაულად სთვლიან, ვიდრე სინამდვილედ. მაგრამ თანამედროვე ერთა შორის იშვიათია ისეთი ერი, რომელსაც ქართველსავით სრული უფლება ჰქონდეს თავის თანამომეების შესახებ ზემოაღნიშნული აზრი წარმოსთქვას. ქართველ ერის ისტორიული არსებობა და სახელმწიფოებრივი ცხოვრება უკვე ქრ. დაბა-

დებამდე მე-XI—XII საუკუნითან არის ცნობილი ასურულ წყაროების წყალობით. მუსკებისა (=ბერძ. მოსხო და მესხო, ქართ. მესხი), ტუბალ-ტბალე-ბისი (=ბერძ. ტიბარენო, იბერო, ქართ. იბერი) და კასკების (=ბერძ. კალხო, ქართ. კაპხი და კალხი) სახელით მოხსენებულნი ისინი ძლიერ ასურეთის მეზობლად და ღირსეულ მოპირდაპირედ ითვლებოდნენ. მათ დაწინაურებული სახელმწიფოებრივი და კულტურული ყოფა-ცხოვრება ჰქონდათ, და ლითონის დახელოვნებულ დამუშავებით იყვნენ განთქმულნი. თვით დაბადებშიაც შენახულა ძველისძველი ამგვარი გარდმოცემა და ლითონის დამუშავების მამთავარადა და მეთავედ, რომლისგან დანარჩენმა კაცობრიობამ ეს ხელოვნება შეითვისა. სწორედ ტუბალ-კაინია დასახელებული, ის ტუბალ-კაინი, რომელიც ქართველ ერის, ჭანების ტომის ერთ-ერთ ჯგუფს ეკუთვნოდა. გამოჩენილ ბიზანტიელ ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის სიტყვებდგან სჩანს, რომ ჯერ კიდევ მე-VI ს-ში ჭანეთის ერთს მოდგმას «ოკანელი» ანუ «კანელი ეწოდებოდა. ცნობილია, რომ თვით ძველ საბერძნეთის ყველა მწერლების თხზულებებში აღნიშნულია ქართველ ტომთა, ხალიბების დახელოვნებული ცოდნა მადნეულობის და-

*) ეს მიმოხილვა წარმოადგენს ჩვენი ისტორიკოსების ნაწარმოებთა კომპილაციას. ქართველობა, სამწუხაროთ, ძალიან სუსტად იცნობს მშობელი ერის ისტორიას, თუმცა ჩვენში უკანასკნელ დროს ძლიერ გაიღვიძა ეროვნულმა სიყვარულმა და შეგნებამ. ვფიქრობთ, რომ ქვემოთ დაბეჭდილი მიმოხილვა დაეხმარება ჩვენს თანამემამულეებს მოკლედ მაინც გაეცნონ სამშობლოს შესანიშნავს და დიდი ტრაგიკულით აღსავსე თავგადასავალს, განსაკუთრებით უცხოეთში მყოფთ, სადაც ადვილი არაა სათანადო წიგნების შოვნა. რედაქცია.

მუშავებაში და მათი უადრესი მნიშვნელობა ამ მხრივ. სპილენძისა და ფოლადის საუკეთესო იარაღი და ნივთები თურმე ამ ტომთა ქვეყნიდგან შედიოდა საბერძნეთში. ამ კულტურულ ღვაწლისა და გავლენისა მჭევრმეტყველი კვალი თვით ბერძნულ და სხვა ენების ლიტონის შესახებ ტერმინოლოგიაშიაც არის შენახული. კიმერიელთა შემოსევამ მე-VII ს. ში ქრ. დაბადებამდე მცირე აზიაში და სტიქიურმა ბრძოლამ ქართველ ტომთა ტუბალებისა და მოსხების აქაურ მოსახლეობას ბოლო მოუღო: ისინი იძულებულ შეიქმნენ ჩრდილოეთისაკენ დაძრულიყვნენ და სამუდამოდ ამიერ კავკასიაში დაშენებულყვნენ, სადაც ამაზე დიდისხნით უწინარესაც ზოგიერთ ქართველ ტომებს უკვე ჰქონდათ ბინადრობა მოპოვებული.

სტიქიურს აყრასა და გადასახლებას რასაკვირველია თავისი უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა ხალხზე და მართლაც წინანდელთან შედარებით შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთის ნაპირას მცხოვრები ქართლი ტომები მე-IV საუკუნეში ქ. წ. ყოველ მხრივ დაქვეითებულნი მოსჩანან. ამიერ კავკასიაში საქართველო ორ დიდ სახელმწიფოებრივ ერთეულად იყოფებოდა, რომელთაგან დასავლეთი ანუ იმიერი საქართველო კოლხეთად წოდებული შავი ზღვიდან იწყებოდა და აღმოსავლეთით შორაპნის და სკანდის ციხეებამდის აღწევდა. ჩრდილოეთის საზღვარს კავკასიონის მთის მთავარი უღელტეხილი შეადგენდა. სამხრეთით მას ლაზხა ანუ ჭანეთი საზღვრავდა, რომელიც თავის დასავლეთს კუთხეში ქ. ტრაპიზონის სანახებსაც მთლად შეიცავდა. ჭანეთი რამდენიმე პატარა სახელმწიფოებრივ ერთეულად იყო დაყოფილი. აღმოსავლეთ საქართველოს იბერია ეწოდებოდა. დასავლეთით მას კოლხეთი საზღვრავდა, აღმოსავლეთით—ალბანეთი მტკვრისა და ალანის შესართავთან. ჩრდილოეთით იგივე კავკასიონის მთები უდარაჯებდა, სამხრეთით კი სამხეთი იყო. გუგურეთი ანუ ქვენა ქართლი მთლად იბერიას ეკუთვნოდა. მამასადამე ფამბაკის ხეობამდე მთელი მიწაწყალი ქართველ ერის მოსახლეობას სჭერია. პირველ საუკუნეში ქ. წ. და შ. იბერიაცა და კოლხეთიც სამეფოები იყვნენ. მეფობის დამკვიდრების წესი პირდაპირს შთამომავლობაზე კი არ იყო დამყარებული სამეფო ოჯახში. არამედ წლოვანობით უფროსობაზე სამეფო საგვარეულოში. საგვარეულო წესწყობილება მსუფთვად როგორც სახელმწიფო ისე საზოგადოებრივ დაწესებულებებში: უძრავი ქონება საგვარეულო კუთვნილებას შეადგენდა და კერძო საკუთრება მაშინ არ არსებობდა. მთელს ამ საგვარეულო ქონებას გვარის უფროსი, მამასახლისი, განაგებდა. გამოჩენილ ბერძენთა გეოგრაფის სიტყვით იბერიაცა და კოლხეთიც კულტურული და განვითარებული ქვეყნები ყოფილან, საქართველოზე ვადიოდა ის განთქმული სავაჭრო გზაც, რომელიც პირკანის ზღვით, შემდეგ ალბანით, მერმე იბერიაში მტკვრით და კოლხეთში რიონით, მაშინ ფაჩისათ წოდებულით, შავს ზღვაზე მდებარე ქ. ფოთის ნავთსადგურთან თავდებოდა, რომ აქედგან უკვე ზღვით წაეღოთ საქონელი. სწორედ ამ გზით გა-

მოჰქონდათ ხოლმე ინდოეთის სავაჭრო ნივთები საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში. რიონზე მაშინ შორაპნამდის ნაგები დადიოდა. მტკვარსა და ალანანხედაც ნაოსნობა იყო. თვით მდინარე რიონზეც 120 ხიდი ყოფილა გადებული.

აღმოსავლეთი საქლო ანუ იბერია მჭიდროდ იყო დასახლებული; სოფლებითა და ქალაქებით მოფენილი ჰყოფილა. სახლებს თურმე ხუროთმოძღვრების რიგზე აშენებდნენ. საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის განსაკუთრებული შენობები ჰქონიათ აკებული და სხვადასხვა ადგილას სავაჭრო ერის კრებებიც სცოდნიათ. ყველაფერი მაშინდელი კულტურისთვის მომასწავებელი იყო საქართველოში: თუმცა ქართველ ერს წინანდელი პოლიტიკური ძალა აღარა ჰქონდა, მაგრამ მამაპაპეული დაწინაურებული ყოფა ცხოვრების შნო და უნარი მაინც შენარჩუნებული ჰქონიათ. მნათობთა თაყვანისცემა იყო ქართველ ერის უძველესი და ეროვნული სარწმუნოება. ქართველ წარმართობის პანთეონში და ღვთაებათა სასუფეველში პირველი ადგილი მთვარის ღვთაებას ეკუთვნოდა, რომელიც მამაკაცად ჰყავდათ მიჩნეული.

მითრიდატის წინააღმდეგ ატეხილმა ბრძოლამ რომაელები ამიერ კავკასიაში, სომხეთში, იბერიაში და კოლხეთშიც შემოიყვანა. 65 წ. ქ. წ. პომპეუსმა იბერიის მეფე არტაქს დაამარცხა და აიძულა რომ რომაელებთან ზავი შეეკრა. კოლხეთმაც რომაელებს მორჩილება განუცხადა და ამ დროითგან მოყოლებული დასავლეთიცა და აღმოსავლეთი საქართველოც რომაელების მფარველობის ქვეშ მოექცნენ. თუმცა იბერია რამოდენჯერმე, განსაკუთრებით როცა ან შინაურ უწყობებათა ან მოუცლევლობის გამო რომაელებს აღმოსავლეთამდის ხელი ვეღარ მიუწვდებოდათ ხოლმე, აჯანყდა, მაგრამ წინანდელი დამოკიდებულება შემდგომი რამდენჯერმე კვლავ აღდგენილი იქმნა. მერმე ქართველებსა და რომაელებს შორის მეგობრული განწყობილება გამეფდა. ამას ერთის მხრით კეისარ ბესპასიანეს ბრძანებით მცხეთის 75 წ. ქ. შ. ბერძნულად ამოჭრილი წარწერაც მოწმობს, რომელშიაც აღნიშნულია, რომ იმპერატორის განკარგულებით «კეისრის მეგობარსა და რომაელების მოსიყვარულე ერს» მცხეთის ზღუდე გაუშვარესო. მეორეს მხრით სხვადა შორის, საეულისხმიეროა ის გარემოებაც, რომ ადრიაწე კეისარმა იბერიის მეფის ფარსმანის ვაჟკაცური სიქველით და სამხედრო ასპარეზობით აღტაცებულმა მარსის ველზე ფარსმან მეფის ცხენიანი ქანდაკება დაადგმევინა. უფლებრივად დამოკიდებულება რომსა და აღმოსავლეთ-დასავლეთ საქლოს შორის მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ ტახტზე ამავალს მეფეს რომის კეისრები სამეფო ნიშნებს უგზავნიდნენ. სხვაფრივ საქართველო სრულიად თავისუფალი იყო, ჯარიც კი არ ჰყოლია რომსა საქართველოში.

როდესაც მე-III ს.-ს დასაწყისში სპარსეთის სამეფო ტახტზე სასანიანთა საგვარეულო გაბატონდა და თავის ქვეყანაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი, რომაელებს ომი აუტეხა. ამ დროიდან მოყოლებული ჯერ რომის სახელმწიფოს, შემდეგ მის მემკვიდრეს



ქართული
ლიბრეოთეკა

ბიზანტიას ძლიერი მოწინააღმდეგე გაუჩნდა. სპარსეთი ყოველწარად ცდილობდა, რომ რომაელები და ბერძნები საქართველოდან და სამხეთიდან განდევნა და თვით გაეწია ამ ქვეყნებში რომისა და ბიზანტიის მავიერობა. რათგან ამ უკანასკნელ სახელმწიფოთა ბატონობისათვის საქართველოსა და სომხეთს ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ ბრძოლა მეტად ხანგრძლივი და გამწვავებული იყო.

მას შემდეგ რაც მეორე საუკუნის დასაწყისითგან მოყოლებული საქართველოში გავრცელებულმა ქრისტიანობამ ისე მოიმარაგა ფეხები, რომ მე-IV ს სპირველ ნახევარში აღმოჩნდა. საქართველოში, ანუ იბერიაში მთავრობამ იგი უკვე სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარა, სულიერი კავშირი საქლოს ბიზანტიასთან უფრო ჰქონდა, ვიდრე სპარსეთთან. ამ ქვეყანაში სახელმწიფო სარწმუნოებად მაზდეანობა იყო და მისი ქურუმნი, მოგვები სწორედ რომ მხოლოდ ერთეულობით იყვნენ გაყენებულინი. რაკი სპარსეთის მთავრობა კარგადა გრძობდა ქართველთა და ბიზანტიელთა სარწმუნოებრივი ერთობის უადრეს პოლიტიკურ მნიშვნელობას, ამიტომ მისი დაუხერხებელი ცდა იყო, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანები, მათ შორის ქართველებიც, სარწმუნოებრივად ერთი მფორისაგან დაეშორებინა. ამ გარემოებამ უფრო გაართულა ისედაც მძიმე პოლიტიკური საკითხი და ამ ბრძოლას ხშირად სარწმუნოებრივი ელფერი დასდვა.

სპარსელებმა იმდენი შესძლეს, რომ აღმოსავლეთ იბერიაში გაიმარჯვეს და რომაელების პოლიტიკური გავლენა მოსპვეს. 368 წ. იბერია ამის გამო ორად გაიყო: აღმოსავლეთ ნაწილში სპარსთა მფარველობის ქვეშ მყოფი მეფე იჯდა სამეფო ტახტზე, დასავლეთს იბერიაში რომაელთა მფარველობის სფერო იყო და მათივე მომხრე მეფე განაგებდა ქვეყანას. მე-IV ს-ის დასასრულს იბერია კვლავ გაერთიანდა, მაგრამ ამასთანავე სპარსთა გავლენა უფრო გაძლიერდა. იმ დროინდელი ისტორიული წყაროებიდან სჩანს, რომ საქლო მაინც და მაინც არც ერთი ამ ორ მოქიშვე სახელმწიფოს გაბატონების მოტრფივალე არ ყოფილა არამედ მას ორთავესგან თავის დაღწევა სურდა და სრულ დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა. მხოლოდ რაკი ამ ორ ბუმბერაზ სახელმწიფოსთან ბრძოლა მას არ შეეძლო, აღმოსავლეთ საქართველო უფრო შორეული მეზობელის პოლიტიკურ დახმარების იმედით იყო ხლომე სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლაში, დასავლეთი საქლო კი, ამ დროს უკვე ლახიკად წოდებული სპარსთა დახმარებით ცდილობდა თავის დაცვას ბიზანტიელთა მეგობრობის და მფარველობის მძიმე ტვირთისაგან. არც ერთ მხარის დახმარებისაგან საქართველოს მაინც და მაინც ხეირი არ დაჰყვია. როდესაც ბიზანტიის დაპირებით წაქეზებულმა იბერიის მეფემ გურგენმა სპარსთა წინააღმდეგ აჯანყება მოახდინა, დაიმედებისდა მიუხედავად უმწეოდ დატოვებული იბერია სპარსელებმა დაიმორჩილეს, განრისხებულებმა 532 წ. მეფობა მოსპვეს და თავის მონაპირე—გამგეს მარხაპანს დაუმორჩილეს. ამ მხრივ ბიზანტიის მფარველობა, საქმე რომ ცუდ და ანვარ მოხელეებს არ

ეფუქებინათ, მაინც უფრო ხელსაყრელი იყო: დასავლეთ საქართველომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, სპარსეთის მფარველობის ქვეშ მყოფმა იბერიამ კი დაჰკარგა.


ქართველ ქრისტიანობამ შექმნა საქართველოში საეკლესიო მწერლობა. საამისოდ გამოყენებული იქმნა უკვე წარმართობის დროს არსებული საზოგადო სახელმწიფოებრივი და სამწერლობო ენა. მე-V ს-ში არამც თუ იყო საღმრთო წერილის და მსოფლიო ეკლესიის წმ. მოწამეთა ცხოვრების ქართული თარგმანი, არამედ თავის საისტორიო და სალიტურატურო ღირებით საგულისხმეო ქართული ორიგინალური მარტილოროლოგიური მწერლობა გაჩნდა. ერთმა საუკეთესო, ცხოველი სურათებითა და წრფელი გრძობით აღსავსე ქართულმა, იაკობ ხუცესის, ნაწარმოებმა ჩვენამდისაც კი მოაღწია. ამ დროითგან მოყოლებული ქართული საეკლესიო ხლოდ შემდეგ სამოქალაქო საისტორიო მწერლობა შეუჩერებლივ წარმოებაში იყო. ჯერ-ჯერობით გამოურკვეველ საზოგადო მიხეხების გამო აღმოსავლეთსა და დასავლეთს საქართველოშიაც პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი უფრო აღმოსავლეთისაკენ იქნა გადატანილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია იბერების მეფის ვახტანგ გურგასილის დიდი ღვაწლი, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოს დედა-ქალაქად მისმიერვე დაარსებული ტფილისი აირჩია. ვითარცა აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილო-სამხრეთის მთავარ გზათა შესაყარს ადგილს მას როგორც შემდეგდროინდელმა მრავალ საუკუნოვანმა ისტორიამაც დაამტკიცა, უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა და შემდეგში სრულიად საქართველოსა და მთელი ამიერ კავკასიის ცენტრათ იქცა.

მე-V ს-ის მეორე ნახევარში ქართველ ეკლესიას უკვე საკუთარი კათალიკოსად წოდებული მღვდელმთავარი ჰყავდა და თვით ქრისტიანობა საქართველოში იმდენად ძლიერი და ნაყოფიერი შეიქნა, რომ იერუსალიმში ქართველებს უკვე ორი მონასტერი ჰქონდათ: ერთი იბერების და ერთიც ლახებისა. მე-V ს-ში ქართველობამ ქრისტიანობას შესინა გა-მოჩენილი საეკლესიო მოღვაწე პეტრე იბერი განთქმული მაიუმელი ეპისკოპოსი, რომელიც შთამომავლობით ქართველი ბატონიშვილი იყო.

მე-VI ს-ში სომხეთის გავლენიანი წრეები აღმოსავლეთის ქრისტიანობას და მონოფიზურს მიემხრენ. ქართველებმა კი დასავლეთის ქრისტიანობას დაუქირეს მხარი და ქალკიდონის კრებას. ქართველ და სომეხ სამღვდლოებს და სამწყსოს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რომელიც 607 წ. სრულ განხეთქილებით დამთავრდა. ამავე დროითგან ქართველ ეკლესიის წმინდათა თაყვანისცემის გაეროვნულება იწყება. ამასთან ერთად ქართველმა ეკლესიამ თავისი განსაკუთრებული სახე და ელფერი მიიღო.

არაბების შემოსევამ სპარსეთში სასანიანთა სახელმწიფოს არსებობას ბლოდ მოუღო და იმავე დროს თავისდათავათ გაქრა სპარსთა ბატონობაც აღმოსავლეთ საქართველოში.

სპარსეთის დამხობის შემდეგ არაბთა სარდლები



და ჯარი 163-645 წ. სომხეთსა და საქართველოსაც ეწვევნენ. ქართველებსა და არაბებს შორის ხელშეკრულება დაიდვა, რომელშიაც ორთავე მხარის უფლება-მოვალეობანი იყო გასაზღვრული. არაბთა ბატონობაც მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული და ლიხის მთას არ გადასცილებოდა. თავდაპირველად იგი ხელშეკრულებისამებრ უფრო გარეგნული და სუბუქი ასატანი იყო: შინაურ საქმეებში, ქვეყნის მართვა-გამგეობაში და განსახლრულ ხარკის მოკრეფაში არ ერეოდნენ, მაგრამ როდესაც არაბთა ბატონობა ამიერ კავკასიის იმ ნაწილებში, სადაც იმათ ფეხი შედგეს, სრულებით განმტკიცდა, მათი ქცევა არსებითათ შეიცვალა. მანამ მათ შინაურ მართვა-გამგეობაშიაც ჩარევა დაიწყეს და ხარკის რაოდენობაც დადებულ პირობის და მიუხედავად გააორკვეცეს, ქრისტიანების დევნასაც მიჰყვეს ხელი. სწორედ ამ გაჭირვებისა და განსაცდელის დროს, როდესაც არაბები ყველგვარ მანქანებით ქართველთა გადაბირებასა და გამაჰმადიანებას ცდილობდნენ, ვაისმა მერვე საუკუნის ნიჭიერ საეკლესიო მოღვაწისა და ისტორიკოსის იოანე საბანისძის ღრმა აზროვანი და შორს გამსჭვრეტელი ქადაგება ქართველ ეროვნულ სარწმუნოების თვითშეგნების გასაძლიერებლად. მისმა სიტყვამ უკვე ნაყოფი გამოიღო და მისუსტებული ეროვნული თვითშეგნება გამოაღვიძა.

ქართული საზოგადოებრივ და ეროვნულ შემეცნების განმტკიცებას შემდეგში არაბთა ბატონობის და ძლიერების შესუსტებამაც შეუწყო ხელი. მერვე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება არაბთა სახალიფოს დასუსტება და თითქმის შეუჩერებელი სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა ეს სახელმწიფოებრივი ნგრევის პროცესი. უზარმაზარ სახალიფოს დაშლა იმ განკერძოებისა და დამოუკიდებლობისადმი მიდრეკილებით დაიწყო, რომელსაც ასე გულმოდგინეთ მისდევდნენ არა არაბთაგან დასახლებულ ქვეყნების მმართველი ამირები.

ამის წყალობით ჯერ სანახევროდ დამოკიდებული საამიროები გაჩნდნენ, ხოლო შემდეგ ამ მიმართულებას უკვე ადგილობრივ მკვიდრთა თავგამოდებული ბრძოლაც ზედ დაერთო, ეროვნულ დამოუკიდებლობის აღსადიდებლად. იარაღითა და ისლამით ხელოვნურად შეკოწიწებული უშველებელი სახელმწიფო დაიშალა ისე-კი, რომ მისმა შემადგენელმა წინანდელმა ეროვნულ სახელმწიფოებრივ ერთეულებმა კვლავ დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყეს. საქართველოს ნიადაგზე ტფილისის საამირო აღმოცენდა. ტფილისის ამირას ურჩობა ხალიფასადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ უკანასკნელი რამოდენჯელ იძულებული შეიქმნა ამირას წინააღმდეგ ლაშქარი გამოეგზავნა. იმავე მიზეზის გამო ხალიფას არაერთხელ პირი შეუკრავს კიდევ ქართველ მთავრებთან და მათი დახმარებით უბრძოლია თავისისავე თანამეტომის წინააღმდეგ. ამგვარმა ბრძოლამ იმდენად დააუძლურა თვით ხალიფაც და ტფილისის ამირაც, რომ ორივე ხელდავდნენ, როგორ მაგრდებოდნენ ქართველი სამთავროები და სამეფოები, მაგრამ არაფრის გაწყობა არ შეეძლოთ.

ამის წყალობით საქართველოში, რამდენიმე სახელმწიფოებრივი ერთეული გაჩნდა. ბიზანტიელების ფარგელობის ქვეშეყოფი დასავლეთი საქართველო წინათაც თავისუფალი იყო, და ესლაც ხომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. რაკი სამეფო საგვარეულო ამ დროს იქ აფხაზური იყო, თვით სამეფოსაც სახელი შეეცვალა და წინანდელ სახელების, კოლხეთის და ლახიკის მაგიერ, აფხაზთა სამეფოს ექაზდნენ. ჯერ ტაოკლარჯეთში ხოლო შემდეგ მთელ მესხეთში და ქართლში აღორძინდა საერისთავო, რომელიც 808 წ. სამეფოდ იქცა. აქ ქვეყნის სათავეში ბაგრატიონთა საგვარეულო იდგა. კახეთსა და ჰერეთში კი კახთა ქორეპისკოპოსები ბატონობდნენ. მხოლოდ ტფილისის ამირას თვით საქართველოს დედაქალაქი და ქვემო ქართლი ეჭირა.

(გაგრძელება იქნება)

ზ. ავალიშვილი.


„ვეფხისტყაოსნის საკითხები“

ამ დღეებში პარიზში გამოვიდა ზ. ავალიშვილის წიგნი, სახელად «ვეფხისტყაოსანი-ს საკითხები», რომელიც უეჭველია ჩაითვლება განძად რუსთაველის ლიტერატურაში. ავტორი არ არკვევს პიდაპირ დიდებული პოეტის ვინაობას და არც მისი ნაწარმოების წარმოშობის თუ ღირებულების საგანს, იგი ეხება კერძო საკითხებს, რომელთა გაშუქება უაღრესად წინ წასწევს არსებითს საკითხს. ბ. ავალიშვილი ახლად და ორიგინალურად უდგება «რუსთაველიანას» ზოგიერთს გარემოებას და ფართოთ სარგებლობს არაბულ-სპარსულ კულტურის ნიმუშებს საკითხების გასარკვევად. ჩვენ აქ არ ვკისრულობთ მისი წიგნის გარჩევას—ამას უეჭველია შესრულებენ ჩვენი რუსთაველისტები, რომლებიც უთუოდ გამოეხმაურებიან ახალს მოძებს.

გვინდა მხოლოდ მოკლედ გავაცნოთ მკითხველებს ამ ფრიად საინტერესო და ძვირფასი წიგნის შინაარსი. ზ. ავალიშვილის ნაწარმოები შეიცავს ოთხს «ცდას»:

- 1) შვიდ მნათობთა ლექსი, 2) შოთა მანიქველი,
- 3) გველი და მთვარე და 4) მიჯნურობა.

პირველი ნაწილი (ცდა) წარმოადგენს ავთანდილის ლოცვის გარჩევას. ავთანდილი მიმართავს შვიდს მნათობს, ფრიდონისკენ რომ მიემგზავრება: მზეს, ზუალს, მუშთარს, მარახს, ასპიროსს, ოტარიდს და მთვარეს და ევედრება მათ დახმარებას სიყვარულში. ზ. ავალიშვილი ფიქრობს, რომ ლოცვაში მოცემული რიგი მნათობთა და მათი თვისებები სავსებით შეეფერება იმდროინდელ სამუსულმანო და საქრისტიანო საზოგადოებაში არსებულ სოფლმხედველობას. ამტკიცებს, რომ მსგავსი ლოცვები მნათობთა მიმართ აღმოსავლეთის პოეზიაში სხვაგანაც გვხვდება და ევროპაშიც; თანაც ეხება, როგორც შემდეგ, არაბულ-სპარსულ და ქართულ კულტურათა ურთიერთობას. მაგრამ ეს ერ-



თობა და თვისება სრულებით არ ასუსტებს რუსთაველის შემოქმედების ღირსებას. «შიდ მნათობთა ზოგადი, ასტროლოგიაში გადმოცემული სქემა აქ (ავთანდილის ლოცვაში) სალირიკო შინაარსით ისეა გამდიდრებული და მოთხრობის მსვლელობასთან ისე ბუნებრივად შეფარდებული და დაკავშირებული, რომ ეს ლექსიც სამართლიანად გოცინის თავისუფალი ოცნების საუკეთესო ნაყოფად უნდა ვიცნოთ» (გვ. 16).

მეორე ნაწილში ჩვენი ავტორი ეკამათება პ. ინგორცევას შოთას მანიქეველობის შესახებ. როგორც ვიცით, პ. ინ — ემყარება, სხვათა შორის, მარიამ დედოფლის «ქარ. ცხ.» იმ ადგილს, სადაც ნათქვამია: «... ერთის ერისთავი შოთა (ი—ა ამტკიცებს, რომ ეს შოთაა «ვეფ. ტყ.» დამწერი), რომელს მანის ფერობისათვის კუპრობით უხმობდენ». ეს ადგილი «ქ. ცხ.» ის სხვა ვარიანტებში ასეა: «... რომელს სიშაგისათვის კუპრობით უხმობდენ». ბ. ავალიშვილი უკანასკნელს სთვლის უფრო სწორად. მაშასადამე «ქ. ცხ.» არ ადასტურებს, რომ შოთა იყო მანის ფერი, ე. ი. მანის რელიგიური ორდენის მეთაური. მერე თუ სიტყვა «კუპრობით» ჰგულისხმობს არაბულს «კუპარს» (კუფარს) ე. ი. განდგომილს და არა კუპრს, მაშინ უნდა იყოს «ქავირ» (მხოლ. რიცხვი), რადგან «ქუფარ» მრავლობითი რიცხვია. პ. ინ — ამტკიცებს, რომ შოთამ მანიქეველობა მიიღო ბალდაღში. ამაზე ზ. ავალიშვილი უპასუხებს სათანადო წყაროების ჩვენებით, რომ იმ დროს მანიქეველობა სრულიად გამქრალი იყო სამუსულმანო ქვეყნებში და მხოლოდ შორეულ აღმოსავლეთის ზოგიერთ ალაგას ლა მოიპოვებოდა მისი სუსტი ნაშთები. გარდა ამისა მანიქეველური სოფლმხედველობა სრულებით არ ეტყობა «ვეფხის ტყაოსანს», რუსთაველი საზოგადოთ თავის ხელოვნებაში რომელსავე სარწმუნოებრივ ტენდენციას არ ემორჩილება, საღვთისმეტყველო ან სხვა სქოლასტიურ საგნებს პოემაში არ ახვიანებს, იშვიათ ზომიერებას იჩენს ამ მხრით და განყენებულ ცნებათა და ზოგად აღსარებას მოთხრობის მსვლელობაში სულ ბუნებრივად ათავებს. რუსთაველის მტკიცე რწმენაა «ერთი ღმერთი», «ეს განყენებითი და თითქმის უღოგმატო აღსარება, ოდნავაც მერმინდელი ევროპელი თეიზმის და ე. წ. «ბუნებრივი რელიგიის» მსგავსი, მართლაც საგულისხმოა. მაშინ იხატება ქართული აზროვნების თავისუფალი, დამოუკიდებელი მიდრეკილება და გაფართოებული პოლიფონტი» (გვ. 64).

ზ. ავალიშვილის მესამე «ცდის» საგანია «გველი და მთვარე», ანუ უკეთ ის ცრუმორწმუნეობა, რომ მთვარის და მზის დაბნელებას იწვევს გველი ან ვეშაპი. საბაბს ამ თემისათვის აძლევს «ვეფ. ტყ.» ის სიტყვები: «დარჩა მთვარე გავსებული, გველისაგან ჩაუნთქმელი», ან «მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედან რამცა გავგითენდა» და სხ. ასეთი შეხედულება მზისა და მთვარის დაბნელების შესახებ თითქმის ყველა ხალხის ზღაპრებში გვხვდება. ჩვენი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს რწმენა ინდოეთიდან უნდა იყოს წარმომობილი. ამასთან დაკავშირებით განიხილავს შოთას ნაწარმოების გეოგრაფიულ ცნობებს და იმ სა-

ზოგადო აზრს დაასკვნის, რომ შეიძლება მნათობთა ჩამოქმედი გველი ერთგვარი რეალური მოწმობა იყოს ამ «სპარსული ამბავის» დამახასიათებელი; რომელიც შოთამ ფაბულად გამოიყენა, და თუ ეს მართალია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს «ამბავი» არაბ-სპარსთა-პინდოთა ურთიერთობის სფეროშია დაწერილი.

უკანასკნელი, მეოთხე «ცდა» (მიჯნურობისათვის), ჩვენის აზრით, საუკეთესოა ზ. ავალიშვილის წიგნში. აქ მოცემულია ანალიზი შოთას სიყვარულისა (მიჯნურობისა), როგორც ეს დახატულია პოემის წინასიტყვაობაში, მერე გარჩეულია სიყვარული ტარიელის და ნესტანის, ავთანდილის და თინათინის. მოყვანილია შედარებანი ტრუბადურების და მინეზენგერების სამიჯნურო პოეზიასთან და ის აზრია გატარებული, რომ ქართული და ტრუბადურ-მინეზენგერების სასიყვარულო პოეზიის წყარო ერთია — არაბული. ზ. ავალიშვილი ასე ახასიათებს რუსთაველის შეხედულებას სიყვარულზე: «მას სძულს «უგულო სიყვარული», ე. ი. «საჯარო აფროდიტეს» უმარტივესი, უფრო ვულგარული სახე; ხოლო იმავე დროს, სჩანს, ეჯავრება «ზეციური სიყვარულის» უზომო აღმაფრენაც — მისტიური სიყვარული ანუ ღვთის მიმართ ეროტიული ეკნალტაცია. რუსთაველი არის უეჭველად «მიწიერი» სიყვარულის იდეალისტი» (გვ. 144). ავტორი არკვევს ცალკე შოთას გმირების მეგობრობასაც.

დასასრულ მოგვყავს აქ ზ. ავალიშვილის წიგნის უკანასკნელი სტრიქონები, სადაც გამოთქმულია ავტორის საზოგადო შეფასება «ვ. ტყაოსნისა»:

«იპოვა რა შოთამ «ესე ამბავი სპარსული ქართულად (უკვე) ნათარგმანები», მის გამოყენებით «ვ. ტ.-ი» შექმნა და მთელი ეპოქის, თავისი ერის სულისკვეთებანიც მასში გამოსთქვა. თავისი ნაწარმოებს სპარსეთითგან ცნობილი, ვალექსილი რომანის ფორმა მისცა. კერძოდ, მის მიერ დამუშავებული სიყვარულის ჰანგები საქართველოში რუსთაველამდეც ცნობილი იქმნებოდა, ხოლო მისი პოემა მოწმობს, თუ როგორი მწიფე იყო მის დროს ქართულ წრეებში და ცოცხალ მოვლენას წარმოადგენდა ეს რაინდულ კილოზნედ წარმოებული «მიჯნურობა». თვით ხსენებული ჰანგები არსებითად საერთაშორისო და ზოგადი ადამიანურია, ხოლო მათ ქართულ განსახებაში ადგილობრივ ელფერს ატარებენ და რაც იქ არაბულ-სპარსული ქალაქური განათლებით და მწიფე, დაცემისკენ გადახრილი ცივილიზაციით არის ასახსნელი, ესეც ქართველთა მიერ ნანახი და გამოცდილი იქმნებოდა, მწიგნობრულ წყაროებითგანაც, მწერლობითგან ამოღებული, დროზედ შეთვისებული და გადმოქართულიებული.

და თუ კი, როგორც ეს დროთა ვითარებაში აუცილებელია ხოლმე, წარმავალი იყო რუსთაველის მიერ ნაქები და გადმოცემული სახელმწიფო და საზოგადოებრივი იდეალო — მეფობა, პატრონ-ყმობა, რაინდობა, მიჯნურობა და სხვა, წარუვალთა ისეთი ღრმა და შეუცვლელი გულისთქმანი, როგორიც არიან სიყვარული, მეგობრობა, მოქმედების და თავდადების უნარი, ცათა და დედამიწის სიტურფე და

მსოფლიო კომუნის გრძობა—და ესა ვ. ტ.-ის სუ-
ლი. და პირველად ყოვლისა წარუვალია დიდი ხე-
ლოვნება, ის ენის და აზრის («მუსიკობა», რომე-
ლიც რუსთაველს ამეტყველებს. მისი ქმნილება საკ-
ვირველი ხეა მსოფლიო წყაროთაგან უხვად მორწ-
ყული ქართული. ნიადაგიოთგან აღმოცენებული. მის
ცოცხალ ტოტებს ხოგი იშვიათი, აწ უკვე დამკნა-
რი ყვავილები ამკობენ. ხოლო საუკუნოდ მწვანეა
მისი ცისკენ მეფურად ამალღებული მწვერვალი, და
ღრმად შექრილია ადამიანის ბუნებასა და ქართველ-
თა გულში მისი მძლავრი ფესვები...».

დაწმუნებული ვართ ყველა ქართველი, ვისაც
ანტირესებს ჩვენს კულტურა, დიდის ხალისით და
კმაყოფილებით წაიკიდნავს ზ. ავალიშვილის «ვეფ-
ტყაოსანის საკითხებს».

№.

მოსკოვი და პარიზი

მოლაპარაკების განახლება მოსკოვსა და პარიზს
შორის მოხდა სწორედ მას შემდეგ, როცა გამოქვეყნ-
და გერმანია-ავსტრიის ოქმი საბაჟო გავრთიანებაზე.
ეს ბრიანის ფანდია—ამბობდენ მაშინ—და ეს სიმა-
რთლესთან ახლო იყო იმდენათ, რამდენათ გერმანი-
ის პრესამ ასტენა განგაში—საფრანგეთი გვართმევს
ერთად ერთ მეგობარს მოსკოვს! პიერ ლავალის და
ბრიანის საპასუხო დარბაზობა ბერლინში, ცხადია,
ვერ მოატრიალებს, ბრიუნინგ-კურციუსი იძულებუ-
ლი გახდებოდა დაუბრუნდენ შტრენგმანის გზას; ე. ი.,
გერმანია-საფრანგეთის დაახლოებას და მით მოსკო-
ვის მოსკოვის მოყოლას ამ ორ დიდ სახელმწიფოს
გავლენის სფეროში. მოსკოვს გამოეცლება, ამ გვა-
რათ. უკანასკნელი საშუალება ითამაშოს გერმანია-
საფრანგეთის ქიშპობაზედ.

მაგრამ სხვა მიზეზიც იყო მოლაპარაკების გან-
ხლებისა საბჭოებთან. საფრანგეთში მრეწველთა და
ფინანსისტთა წრეებში ხშირათ გაისმოდა უკმაყოფი-
ლება იმის გამო, რომ ყველა დიდი სახელმწიფოები
მუშაობდენ საბჭოებთან, ჩვენ კი არაო. შარშან, მაგ.,
საბჭოთა დამპინგის გამო საფრანგეთის მთავრობამ
დეკრეტით შეზღუდა საქონლის შემოტანა საბჭოე-
ბიდან, დაუქვემდებარა იგი ლიცენციას ანუ ნებარ-
თვას თვითნებ შემოტანილ საქონელზე. ამას დეკრე-
თითვე უბასუნა მოსკოვმა, რითაც მთლათ აღკრძალა
საქონლის შეტანა საფრანგეთიდან. ბალანსი სახარა-
ლო გამოდგა უკანასკნელისთვის, რადგან საფრანგე-
თის ფლოტი, გარდა სხვა საქონლისა, ნახევარ მი-
ლიარდ ფრანკის ნავთს ყიდულობს მოსკოვისგან. მა-
შასადაზე, ფრანგებს მეტი საბაზი მიეცათ უკმაყოფი-
ლებისათვის და მოითხოვს მოლაპარაკების განა-
ხლება, ეკონომიურ წრეებს პოლიტიკური წრეებიც
მიემხრენ. მთავრობამ დათმო.

პირველი შედეგი ის იყო, რომ ორვე მხარემ გა-
აუქმა დეკრეტები და დაუბრუნდენ ადრინდელ მდგო-
მარეობას; საბჭოები აფართოებენ სავაჭრო წარმო-
მადგენლობას პარიზში, ფართი-ფურთობენ, ფრანგის
სპეკულიანტებიც სახრავს გამოელიან. მაგრამ თვით
სავაჭრო «მოღუს ვივენდი» ჯერ არა სჩანს. ფრანგები

თითქო მზად არიან გაყენენ ინგლისელების გზას: ჯერ
სავაჭრო ხელშეკრულება, მერმე ძველ ვალებზე
ლაპარაკი, მაგრამ მოსკოვი კრედიტების კითხვას
სვამს და ესკი ვალების კითხვას აყენებს!

რას სწავრენ ბოლშევიკიზმი

ყველამ უწყის. უომ სოც. ინტერნაციონალის და-
მოკიდებულება კომუნისზთან ორქოფულია. იგი კი-
დეც ებრძვის და არც ებრძვის ბოლშევიკებს. ბევრს
ნამდვილი წარმოდგენა არ აქვს ბოლშევიზმის, ბევ-
რი იცნობს. მაგრამ ვერ ბედავს მის წინააღმდეგ გა-
ლაშქრებას. ასეთი პოლიტიკის მოწინააღმდეგეთ გა-
მოდის გერმანიის ს. დ. სადისკუსიო ყურნალ «დას.
ფრაიკ ვორტ» ში შტესინგერი, რომელიც გალაშ-
რით მოითხოვს აქტიურ ანტიბოლშევიზმს. ამბობს
რომ «ყოველი დათმობა სოციალისტების და კომუ-
ნისტების იდეოლოგიურ კამათის დროს, ყოველი
მიღება ბოლშევიკების ე. წ. «მიღწევებისა» მხო-
ლოდ ჩრდილავენ წინააღმდეგობას და ბოლოსდაბო-
ლოს იწვევენ ბოლშევიკური. პრინციპის აღსარე-
ბას». შტესინგერი გმობს არა მხოლოდ აშკარა ბო-
ლშევიზანებს, არამედ ისეთ სოციალისტებსაც, რო-
მელნიც თუმცა ებრძვიან ბოლშევიკებს, მაგრამ მა-
თი განცხადება ხშირად დათმობას მოასწავებს. ასა-
წელებს სანიმუშოთ გერ. ს. დ.—ის ლიდერის ველ-
სის სიტყვებს, რომ «1918 წ. საბჭოები გამოხატავენ
დასახალხო მასების ნებისყოფას». ავტორს ეს მიჩ-
ნია სრულიად სიყალბეთ—ხალხი არასოდეს არ ყო-
ფილა ბოლშევიკების მხარეზე. მერე აქცევს ყურად-
ღებას, რომ გან. «ფორვერტი» თავის პოლიტიკურ
წერილებში ბრძოლას აწარმოებს ბოლშევიკების
წინააღმდეგ და ამავე დროს მის სალიტერატურუო თუ
კრიტიკულ ნაწილში ხშირად შეხვდებით მათ შექე-
ბას. შტესინგერს ყოვლად შეუწყნარებლათ მიჩნია
ს. დ. ორატორების განცხადება, რომ გერმანელი
კომუნისტები უნდა შეეჩვიონ დემოკრატიულ წე-
სებს, ხოლო «რუსის კომუნისტებს აქეთ უფლება სა-
კუთარი პოლიტიკური მეთოდები ისარგებლონ»,
თითქოს რუსის გლეხები და მუშები ისეთივე ადამი-
ანები არ იყვნენ და არ გაეგებოდეთ, თურა არის
სიმშლილი, დატუსადება, ტერორი! «ჩვენ უარყოფთ
კომუნისზმს გერმანიისათვის, ამბობს შტესინგერი,
მაგრამ ეს არ კმარა, ჩვენ უნდა უარვყოთ იგი რუსე-
თისათვისაც. არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძ-
ლია ვიცნოთ ბოლშევიკების უფლება—ტანჯონ და
აწამონ რუსის ხალხი. რასაკვირველია, რუსის ხალ-
ხის განთავისუფლება უნდა მოხდეს მისი საკუთარი
ხელით, ხოლო ჩვენ ჩვენის მანიფესტაციებით უნდა
ვსტეკთავთ, რომ რევოლუციონერები უფლება რუსეთ-
ში ხალხის მხარეზე და არა ამ რეჟიმის, რომელიც,
როგორც ეს აღიარა ბოლშევიკების ისეთმა ლიდერ-
მა, როგორიცაა რაკოვსკი, დღევანდლამდის იმსხვე-
რპლა 25 მილიონი ადამინი».

მეკატრი კრიტიკით ეპყრობა შტესინგერი სოც-
ინ—ის მეთაურებს ვანდერველდეს და ბაუერს; პირ-
ველის სიტყვების გამო («ინტერნაციონალს უნდა
რუსეთის რევოლუციასთან იყოს») გაკვირვებით



კითხულობს, თუ როგორ შეიძლება რევოლიუცია ვუწოდოთ ბოლშევიკურ რეჟიმს? რაც შეეხება ბაუერს. მისი უკანასკნელი წიგნი მიაჩნია «დიქტატურის შესწმა-ქებალ».

ავტორი მიუღებლად სთვლის შარშან ს. ინ-ის ეგზეკუტივის გამოცემულს მიმართვას რუსის ხალხისადმი, რომელიც რუსის გლეხებსა და მუშებს ურჩევს ბოლშევიკური წყობილების ჩამოგდებას კი არა, არამედ მის გადარჩენას. უფარგისა მისი შეხედულებით უკანასკნელად სოციალ. და სინდიკ. ინტერნაციონალების კომისიების შემუშავებული და ვენის კონგრესზე მიღებული რევოლიუცია მსოფლიო სამეურნეო კრიზისისათვის, რომელიც კრიზისის მიზეზათ ასახელებს ფაშისტურ დიქტატურას და ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს ბოლშევიკურ დიქტატურასა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი

საქართველოში ქართველი იდეენება როგორც ქართველი. ამას თვით «ზარია ვასტოკა» № 167 (კომ. პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტ. ორგანო) მოგვითხრობს: «იდეენება ქართული კულტურა, ენა, ზნე-ჩვეულება. ანტიქართულმა პროპაგანდამ ფართო ხასიათი მიიღო ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც დიდძალმა—უცხო ელემენტმა მოიყარა თავი. ქართველებს არ აქვთ უნარი ტრაქტორები აამუშაონ... ტრაქტორი ხომ ვიტი არ არისო, ცინიკურათ აცხადებს აგრონომი კრიუკოვი და მას მხარს უჭერდა ტრაქტორების პარკის გამგე ვასილიევი. კრიუკოვი განსაკუთრებით ახირებულად ეპყრობოდა ახალგაზნდა ქართველ აგრონომებს: ამათი საქმე დორების წყევვაა და არა ბამბის გაშენებაო.

ათისთავი შურკო ისე ახილათ პროტექტორობდა მის ყუბანელებს, რომ ქართველი დურგლები იძულებულნი იყვნენ მიეტოვებიათ სამუშაო. ნაცვლიშვილის და ზადელაშვილის ჯგუფების დურგლები იძულებულნი იყვნენ მასალისათვის ყოველ წუთს ერბინათ, რადგან მათ შურკო მასალას აძლევდა ნაწილ-ნაწილათ; ამას გარდა ამ ჯგუფებს ეძლეოდათ უფრო ცუდი, მძიმე და ნაკლებათ სარგებლიანი სამუშაო. ამის შედეგათ ბეჟაშვილის ჯგუფმა (10 კაციდან შემდგარი) 206 სამუშაო დღის მიიღო 1.020 მან., ოსინენკოს ჯგუფმა კი (აგრეთვე 10 კაცი) 130 სამუშაო დღის მიიღო 1.334 მან. და ასეა ყოველ დარგის სამუშაოში.

შურკოს თავხედობას საზღვარი არ ქონდა. ის პირდაპირ ეუბნებოდა დაჩაგრულებს:—თქვენ, ქართველები, არ ვარგხართ ამ სამუშაოსათვისო. ამ პოლიტიკის შედეგათ 20 ქართველი დურგალი იძულებული იყო მიეტოვებია სამუშაო. ამ პოლიტიკას მხარს უჭერდა საბჭოთა მეურნეობის ბულჰალტერი ბაროვსკი, რომელიც რუსის ჯგუფებისთვის შოულობდა ფულს და ქართველებს კი იძულებულს ხდიდა სამი დღე ევლოთ ხელფასის მისაღებათ.

რომ ეს შემთხვევითი მოვლენა არაა, რომ ეს საგანგებო დაცინვა ქართველი მუშების, ამას ამტკი-

ცებს ის ფაქტი, რომ არ იქნა მიღებული განცხადება მუშების, დაწერილი ქართულ ენაზე; ძალის ენაზე არ ვკითხულობთო.

ამაში ბაროვსკის მხარს უჭერდენ პარტიის წევრი ოხალინი (საბჭოთა მეურნეობის დირექტორის თანაშემწე) და აგრონომი კრიუკოვი.

—საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძე სოფლის მუშის მდგომარეობის შესახებ საქართველოში: ქარ. «კომ.»-ში და «ზარია ვასტოკა»-ში მოთავსებულა მახარაძის წერილი, სადაც ის სხვა შორის, ამბობს: «ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში ვნახ. ათასი კაცი მუშაობს, მაგრამ საბჭოთა მეურნეობა არ უზრუნველყოფს ამ მუშებს ცხოვრების საჭირო მინიმალური, ელემენტარული პირობებით. არ არის გზები, წვიმიან ამინდში შეუძლებელია იქ მისვლა, ან იქედან წამოსვლა; არ არის ბინები, აუშენებიათ ბარაკები, მაგრამ ისე უხეიროთ, რომ არასოდეს ასეთი რამ ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს; ახლად აგებული შენობები ინგრევა. არსებული სადგომები ძალზე დატვირთულია: მარტოხელები და ოჯახის პატრონები ცოლებით და ბავშვებით ერთ სადგომში იმყოფებიან; არ იშოვება წამალი და საერთოდ არ არის მოწყობილი საექიმო სამსახური. იმ ადგილას, სადაც ბარაკებია აშენებული, საშინელი ტალახი და სიბინძურეა, აქ ყრია ყოველგვარი ნარჩენი. კვების საქმეც ძალიან ცუდათ არის: პატარა, უსუფთაო, ბნელი სასაღობო რამოდენიმე ათასი მუშისათვის; საქმელი არ არის კარგე დირსების—სუფი, იშვიათად ხორცი, საღამოს რაღაც ფაფა. მაგრამ არც ასეთი სადილია ყველა მუშებისთვის» («კომ.» № 142).

—ტფილისის საქალაქო მეურნეობამ კიდევ ვერ წამოიღვა ფესი. კანალიზაციის საქმე ცუდათაა, არ იშოვება წყალი, ქუჩები გაფუჭებულია, სახლები ინგრევა» (ქართველიშვილის მოხსენებიდან «ზარია ვასტოკა» № 178).

ს ა ბ ზ ო თ ა რ უ ს ე თ შ ი

(ქუზნალ-გაზეთებიდან)

მოსკოვიდან იტყობინებიან, რომ მთავრობამ დაადგინა შექმნას კომუნისტურ ეკონომიის კომისარიატი, რომლის მოვალეობა იქნება კერძო ცხოვრების კომუნისაცია. კომისრათ დასახელებულია ცნობილი ჩეკისტი კომაროვი, პროფესიით მელითონე მუშა.

—წითელი რაზმის მიერ რუსეთ-პოლონეთის საზღვარზე თუთხმეტი გლეხი იქნა მოკლული, რომლებიც საზღვარზე გადმოდიოდნენ, რომ კომუნისტურ ჯოჯონეთისათვის თავი დაესწიათ.

—მოსკოვიდან ცნობაა, რომ, ინტელიგენციისადმი პოლიტიკის გამოცვლის შედეგათ, შესდგა საგანგებო კომისია, რომლის მიზანია გამოიმუშავოს ინტელიგენციის მდგომარეობა—მოღვაწეობის შესახებ ახალი უფლებრივი ნორმები. ფიქრობენ ინტელიგენციას ზოგიერთი შეღავათები მიეცემაო.


—საბჭოთა კავშირის საპაეო სამხედრო ლიგის თავმჯდომარის მალინოვსკის განცხადებით, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ლიგას აუშენებია

120 სამხედრო აეროპლანი. ლიგის წევრთა რიცხვი 5 მილ. აღწევს.

— მიწათმოქმედების კომისარმა იაკოვლევმა გამოაქვეყნა მიმდინარე წლის მეორე სემესტრის მიწის კოლექტივიზაციის გეგმა. ამ გეგმით ადგილობრივ ხელისუფლებათ ვეალებათ პირველ ინანვრამდის დაასრულონ მიწის კოლექტივიზაცია.

— სკოვის რაიონში მოსავლის აკრეფვის დასაჩქარებლათ მოსკოვიდან გაგზავნილ იქნა კომისარი ბოროდინი, რომელმაც მობილიზაცია უყო სამუშაოთ რაიონის ყველა ქალებს 16—50 წლამდის. ვინც მუშაობაზე უარს ამბობდა, «როზგავდენ», ასე რომ «გაროზიკილ» იქნა ორასამდე ქალი.

— მოსკოვში გავრცელდა აუარებელი არალეგალურათ დაბეჭდილი პროკლამაცია. ამ პროკლამაციებში მემარჯვენე ოპოზიცია სტალინს ბრალს სდებს, რომ მან უკანასკნელ სიტყვაში სირცოვს და სხვა აქტივისტებს მოპარა პროგრამა, რომელიც დღეს ოფიციალური გახდა და რომლის ავტორები კი გადასახლებულნი არიან ან ციხეებში იტანჯებიან. ოპოზიციონერები მოითხოვენ სამართალს და სტალინის გადაყენებას.



ოსმალეთ-კუსეთის მემოგრაფია და ევროპის მემოლოგიანობა

ოსმალეთის და რუსეთის დამეგობრება, რომელიც მოხდა 1920 წ., მეტად გასაკვირვალ მოვლენაა. მართალია, ბოლო დროს იყო შემთხვევები ყოფილი მტრების დაახლოვების და დაკავშირების, მაგრამ რუსეთის და ოსმალეთის დამეგობრებამ, რომლებიც მთელი ორი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთის დაუძინებელი მოსისხლე მტრები იყვნენ, მაინც ყველა გააოცა, ვინც კი აღმოსავლეთის პოლიტიკას იცნობს.

არსებითად არც თვით მსოფლიო ომს და არც მის შედეგებს არავითარი ცვლილება არ გამოუწვევია იმ წინამდებობაში, რომელიც არსებობს მოსკოვსა და სტამბოლს შორის. თურქები ისევ ებლაუქებიან სრუტეებს, რომლებიც ნაშთია მათი ძველი იმპერიისა შავ ზღვაზე და რუსებიც კვლავ განაგრძობენ აღმოსავლეთის მუსულმანთა ადგილებში შექრას. მეგობრულ ხელშეკრულების მონაწილენი წინანდებურად თავის ისტორიულ პოზიციებზე დგანან და ერთმეორისთვის არა დაუთმიათ რა. საბჭოები დაფარულად ეწევიან კომუნისტურ პროპაგანდას თურქეთში და ამავე დროს ოსმალეები წმინდა აღმოსავლეთური ფატალიზმით შესიქვრიან, თუ როგორ დევნიან და ხოცავენ ბოლშევიკები მათ მოდგმისა და სარწმუნოების შვილებს.

საერთო ინტერესების უქონლობამ და ისტორიულმა დრამა წინამდებობამ, შეუძლებელია, ბოლოს და ბოლოს არ გაამწვავოს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა, თუნდაც მართველები ძალიანაც ცდილობდნენ ურთიერთ კეთილ განწყობილების დაცვას.

წინამდებობის სხვა ასეთ ნიმუშებს რომ თავი გავანებოთ, როგორცაა კომუნისტების დახმარება

თურქთა მოწინამდებე არაბებისა და ქურთებისათვის, შეუძლებელია დიდი ყურადღება არ მიექცეს ბალტიის ზღვიდან შავ ზღვაში გადაყვანას სამხედრო ფლოტის ერთეულებისა, განსაკუთრებით კრეისერების «პარისის კომუნი»-ს და «პროფინტურნი»-ს.

წინამდებე ლაზანის ხელშეკრულებისა და ნამეტურ თურქეთ-რუსეთის სამეგობრო შეთანხმებისა დიდი სამხედრო გემები შარშან შემოდგომაზე შევიდნენ შავ ზღვაში და დღემდის იქ იმყოფებიან. ამრიგად დარღვეულია ის ძალთა თანაბრობა, რომელიც არსებობდა შავი ზღვის წყლებზე. ამის გარდა იმის ცნობაც იყო გამოქვეყნებული ამ დღეებში, რომ მოსკოვმა ანგორის მთავრობას შეატყობინა—ორი დრედნოუტი მიემგზავრება სებასტოპოლში აუცილებელ შეკეთებისათვის.

ასეთი დიდი ძალის პირისპირ თურქებს არა მოეპოვებთ რა ვარდა «იავუზ»-ისა (წინანდელი «გებენი») და რამდენიმე პატარა ერთეულისა, რომლებიც ვერავითარ როლს ვერ ითამაშებენ ანატოლიის ნაპირების თავდაცვაში საბჭოთა იერიშებისაგან.

მეტეც უნდა ითქვას: თუ შემოაღნიშნული ცნობა დრედნოუტების გაგზავნისა გამართლდა, საბჭოთა სამხედრო გემები უფრო ძლიერნი იქნებიან ვიდრე შავი ზღვის ყველა სანაპირო სახელმწიფოების გემები ერთად და ამით შესრულებული იქნება იმპერატორთა პეტერბურგის მუდმივი ოცნება შავ ზღვაზე ჰეგემონობის მოპოვებისა.

ამგვარს მისწრაფებას არ შეეძლო არ გამოეწვია დიდი შთაბეჭდილება თურქეთში. თურქული პრესა, რომელიც წინა წლებში ისე უყურებდა რუსეთს როგორც ერთად ერთს მოკავშირეს, დღეს შეძრწუნებულ ეკითხება თავის თავს: რა ხდება და რა ახალი გეგმას ამზადებს სტალინი რომანოვებისა და მილიუკოვის მიზნის განსახორციელებლად და შავი ზღვის კარის ხელში ჩასაგდებად?

არ შეგვიძლია არ დავეთანხმეთ თურქების საზოგადოებრივ აზრს, რომ მოსკოვი თანდათან აძლიერებს თავის საომარ ძალებს შავ ზღვაზე, მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ბოლშევიკებს თავის განწრაზვების დროს მარტო თურქეთის რესპუბლიკა სწავთ ამოღებული ნიშანში. საბჭოებს გრძელი საზღვრები აქვს თურქეთთან და სპირიტების დროს უძლიერ ფლოტიაც შესძლებდნენ მის წინამდებე მოქმედებას. ხოლო დღეს თუ შავ ზღვაზე თავის სამხედრო გემების რიცხვს ამრავლებენ, უნდა ვიფიქროთ რომ უფრო დასავლეთის სახელმწიფოებზე ფიქრობენ, კერძოთ რუმინისა და პოლონეთზე. საკმარისია ამისთვის გავისხენოთ ლიტვინოვის და ვორაშილოვის განცხადება საბჭოთა განაფხულის კრებაზე, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია ომი დასავლეთის მეზობლების წინამდებე. ამიტომ ანგორას შეუძლია მშვიდობიანად იძინოს მიუხედავად საშიში მოქავშირის მეზობლობისა, მაგრამ სხვებს კი ჰმართებთ გათვალისწინება მოსკოვის ფლოტის გაძლიერებისა შავ ზღვაზე.

«ოღინორ».